



პროფესიული
უნარების
სააგენტო

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა

2023 წლის კოჰორტა

შინაარსი

ცხრილები და დიაგრამები	3
დიაგრამები.....	3
ცხრილები.....	3
შესავალი.....	4
კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნები.....	6
კურსდამთავრებულთა კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო, კონსტრუქტები და ცვლადები.....	9
კურსდამთავრებულთა კვლევის კონსტრუქტები და ცვლადები.....	9
კურსდამთავრებულთა კვლევის დიზაინი - ქსელური ინსტიტუციური მოდელი	10
კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია.....	12
დროის ინტერვალი პროგრამის დასრულებიდან	12
კურსდამთავრებულთა კვლევის მასშტაბი.....	12
კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლების განხორციელების სიხშირე.....	13
შერჩევა.....	13
მონაცემების შეგროვების მეთოდები.....	14
კურსდამთავრებულთა კვლევის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ასპექტები.....	15
ინსტიტუციური ქსელის სტრუქტურა	16
კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლის სტანდარტული პროცესები.....	17
ელექტრონული პორტალი.....	18
კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მახასიათებლები.....	18
მონაწილეები.....	19
კვლევის შედეგები	23
პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადანაცვების მიღების მოტივაცია	23
სასწავლო გარემოს და სწავლების პროცესის შეფასება.....	25
სწავლის პროცესში შეძენილი/განვითარებული უნარები/ კომპეტენციები	26
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ზოგადი კმაყოფილება.....	28
დასაქმება	34
შემდგომი გეგმები.....	52
დასკვნა და რეკომენდაციები.....	55

ცხრილები და დიაგრამები

დიაგრამები

დიაგრამა 1: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით.....	20
დიაგრამა 2: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება გენდერულ ჭრილში.....	21
დიაგრამა 3: კურსდამთავრებულების პროცენტული განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადწყვეტილების მიღების ძირითადი მიზეზების მნიშვნელოვნების მიხედვით.....	23
დიაგრამა 4: სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის შეფასება.....	25
დიაგრამა 5: შექმნილი/განვითარებული უნარებისა და კომპეტენციების შეფასება.....	27
დიაგრამა 6: კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების პროცენტული განაწილება.....	28
დიაგრამა 7: დასაქმების დონე სწავლის დასრულების წლების მიხედვით.....	35
დიაგრამა 8: დასაქმებულთა პროცენტული წილი მიმართულებების მიხედვით.....	36
დიაგრამა 9: დასაქმებულთა პროცენტული წილი მიმართულებებისა და სქესის მიხედვით.....	40
დიაგრამა 10: საკუთარი პროფესიით დასაქმებულთა პროცენტული წილი სექტორების მიხედვით.....	43
დიაგრამა 11: კურსდამთავრებულთა საშუალო ანაზღაურება ეკონომიკური სექტორების მიხედვით.....	43
დიაგრამა 12: დასაქმების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.....	46
დიაგრამა 13: შრომის ანაზღაურება გენდერულ ჭრილში.....	50
დიაგრამა 14: სამუშაოს შესასრულებლად უნარების/კომპეტენციების ფლობის მნიშვნელოვნება.....	51
დიაგრამა 15: კვალიფიკაციისა და სამუშაოს შესაბამისობა.....	52
დიაგრამა 16: კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი დაგეგმილი ცვლილებების ტიპის მიხედვით, %.....	53
დიაგრამა 17: პროფესიული პროგრამის შეფასება, %.....	54

ცხრილები

ცხრილი 1: კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი ეტაპები და განრიგი.....	17
ცხრილი 2: საქართველოში კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მახასიათებლები.....	19
ცხრილი 3: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება წინამდებარე განათლების მიღწეული დონის მიხედვით.....	22
ცხრილი 4: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სრულიად კმაყოფილების ყველაზე მაღალი მნიშვნელობების მიხედვით.....	29
ცხრილი 5: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სრულიად კმაყოფილების ყველაზე დაბალი მნიშვნელობების მიხედვით.....	31
ცხრილი 6: დასაქმებულთა პროცენტული განაწილება ეკონომიკური სექტორის მიხედვით.....	41

ცხრილი 7: დასაქმებულთა განაწილება სამუშაო პოზიციების მიხედვით, %.....	45
ცხრილი 8: დასაქმებულთა პროცენტული განაწილება შემოსავლის ჯგუფების მიხედვით, %.....	48
ცხრილი 9: კურსდამთავრებულთა საჭიროებები.....	53

შესავალი

საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer study) ინფორმაციის შეგროვების სისტემური მიდგომაა, რომლის საშუალებითაც იქმნება ახალი ცოდნა: როგორც სასწავლო პროგრამაზე სწავლის მოკლე და გრძელვადიანი შედეგების, ისე შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ.¹

პროფესიული განათლების სისტემების განვითარების კონტექსტში თანდათანობით იზრდება ინტერესი კურსდამთავრებულთა კვლევის მიმართ, რადგან იგი ბაზრისათვის საჭირო კომპეტენციებისა და ადამიანური კაპიტალის ფორმირებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას უზრუნველყოფს.² პროფესიული განათლების ეროვნული სტრატეგიაც (2021-2025 წლები) მკაფიოდ აჩვენებს კურსდამთავრებულთა კვლევის მნიშვნელოვნებას საქართველოში.³

მოცემული კვლევა წარმოადგენს საქართველოში კურსდამთავრებულთა კვლევის ახალი, ე.წ. ქსელური ინსტიტუციური მოდელის დანერგვის მეორე ციკლს, რომელიც მსოფლიოში აპრობირებულ მეთოდოლოგიასა და ფართომასშტაბიანი ქსელური საერთაშორისო ინიციატივების საუკეთესო გამოცდილებას ეყრდნობა.⁴ კვლევის პირველი ციკლი განხორციელდა 2022 წელს, რომელშიც მონაწილეობდნენ 2020-2021 წლის კურსდამთავრებულები.⁵ რაც შეეხება მეორე ციკლს, იგი განხორციელდა 2023 წელს და მოიცვა 2022 წლის კურსდამთავრებულები.⁶

საქართველოში პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა კვლევის არსებული გამოცდილებისაგან განსხვავებით, ქსელური ინსტიტუციური მოდელი გულისხმობს სტანდარტიზებული, მსოფლიოში აპრობირებული ინსტრუმენტების გამოყენებას და თავად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიურ მონაწილეობას კურსდამთავრებულებისაგან მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების პროცესში.

¹ European Commission (2020). Mapping the state of graduate tracking policies and practices in the EU Member States and EEA countries.
² https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32017H1209%2801%29#ntr12-C_2017423EN.01000101-E0012
³ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2021). პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2021-2025
⁴ Renewed agenda for higher education (2017), Expert group on Graduate Tracking (2018-2020).
⁵ პროფესიული უნარების სააგენტო, კურსდამთავრებულთა კვლევა, 2020-2021 წლის კოჰორტები
⁶ პროფესიული უნარების სააგენტო, კურსდამთავრებულთა კვლევა, 2022 წლის კოჰორტა

კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი ეყრდნობა ევროპაში პროფესიული განათლების სფეროში მნიშვნელოვანი აქტორების (Interntional Labor Organization (ILO), European Training Foundation (ETF), CEDEFOP) მიერ შემუშავებულ შემდეგ რეკომენდაციებს: ⁷

- **სამიზნე პოპულაცია:** მხოლოდ ერთი კოჰორტის კურსდამთავრებულების შერჩევა. კურსდამთავრებულთა კვლევა, რომელიც მოიცავს მხოლოდ ერთი კოჰორტის კურსდამთავრებულებს, უფრო მარტივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, ვიდრე შერეული. ერთი კოჰორტისთვის განათლება და შრომის ბაზრის მდგომარეობა მსგავსია, მაშინ როცა შერეული კოჰორტის გამოკითხვაში სხვადასხვა კონტექსტი უნდა იქნას გათვალისწინებული შედეგების ინტერპრეტაციისას. შერეული კოჰორტის გამოკითხვაში არა მხოლოდ განათლებისა და შრომის ბაზრის კონტექსტი შეიძლება იყოს განსხვავებული, არამედ დასაქმების ხანგრძლივობა და სამუშაო გამოცდილებაც.
- **გამოკითხვის დრო:** რეკომენდებულია, რომ გამოკითხვა ჩატარდეს სწავლის დასრულებიდან 1-2 წლის განმავლობაში. ასეთ გამოკითხვაში შესაძლებელია მოპოვებულ იქნას რელევანტური ინფორმაცია განათლებიდან შრომის ბაზარზე ტრანზიციის პროცესის შესახებ. კურსდამთავრებულთა უმეტესობას გამოკითხვის დროისთვის, სავარაუდოდ, უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა და შესაბამისად, აქვთ სამუშაო გამოცდილება, რაც შეიძლება რელევანტური იყოს განათლებასა და სამუშაოს შორის კავშირების ანალიზისთვის.
- **მონაცემთა შეგროვების მეთოდები:** კვლევისას რეკომენდებულია სტანდარტიზებული წერილობითი კითხვარის გამოყენება. აღნიშნული კითხვარი მონაცემთა შეგროვების ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რადგან უფრო მარტივი სამართავი და ჩვეულებრივ, გაცილებით უფრო ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე სხვა მეთოდები. განსაკუთრებით მაშინ, როცა კითხვარის ადმინისტრირება ხდება ონლაინ რესურსის მეშვეობით, ვინაიდან მონაცემთა შეყვანა და ანალიზი მოითხოვს ნაკლებ დროსა და ძალისხმევას.
- **კითხვარის მოცულობა:** რეკომენდებულია დაახლოებით 12-16 გვერდიანი კითხვარის შემუშავება. მცირე მოცულობის კითხვარი ნაკლებად გამოსადეგია ინსტიტუციური კურსდამთავრებულთა კვლევებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავენ სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებას. პრაქტიკული დასკვნები, რომლებიც ეფუძნება კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებს საჭიროებს ბევრი

⁷ ETF, Cedefop, ILO (2017). Carrying out tracer studies: guide to anticipating and matching skills and jobs: volume 6.

ფაქტორის გათვალისწინებას. დასაქმებასთან დაკავშირებული მრავალი ასპექტი (არა მხოლოდ დასაქმების სტატუსი და ხელფასი) უნდა გაიზომოს და დაუკავშირდეს საგანმანათლებლო, ინდივიდუალურ და კონტექსტუალურ ფაქტორებს.

- **კურსდამთავრებულთა კვლევების სიხშირე:** კურსდამთავრებულთა კვლევები უნდა ჩატარდეს რეგულარულად. ყოველწლიური ინსტიტუციური კურსდამთავრებულთა კვლევები იძლევა შედეგების შედარების საშუალებას დინამიკაში.

მიმდინარე კურსდამთავრებულთა კვლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2023 წლის კურსდამთავრებულების აზრის შესწავლას გულისხმობდა. სავლე სამუშაოები განხორციელდა 2024-2025 წლის დეკემბერი-იანვარი პერიოდში.

სავლე სამუშაოების მართვისა და მონაცემების კონსოლიდაციისთვის გამოყენებული იქნა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმა. კურსდამთავრებულებს შეეძლოთ კითხვარის შევსება ელექტრონულად, დისტანციურად, კომპიუტერის ან მობილური ტელეფონის გამოყენებით.

მოცემული ანგარიში მიმოიხილავს პროფესიული განათლების ყველა დარგის ფარგლებში არსებულ ზოგად ტენდენციებს კურსდამთავრებულთა დასაქმების, სწავლით კმაყოფილებისა და კარიერული განვითარების მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ყველა გრძელვადიანი პროფესიული პროგრამისა და მისი განმახორციელებელი დაწესებულების შესახებ, ეს მონაცემები, კვლევის დიზაინის თანახმად, კონფიდენციალურია. ისინი გამოიყენება ორგანიზაციების შიდა განვითარების მიზნებისთვის და პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციების ინდივიდუალური განვითარების გეგმების შესამუშავებლად, ასევე, პროფესიული განათლების პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებისათვის.

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნები

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნებს მრავალდონიანი სტრუქტურა აქვს. კვლევის შედეგები გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში როგორც მიკრო (ცალკეული პროგრამის და ინსტიტუციის), ისე მეზო (სექტორის) ან მაკრო (სახელმწიფოს) დონეზე. შესაბამისად, ეს მიზნები, კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება დავუკავშიროთ უშუალოდ სასწავლო პროგრამის, საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული

განათლების სისტემის, დარგის ან მთლიანად სამუშაო ბაზრის განვითარების საჭიროებებს.⁸

მაკრო დონეზე კურსდამთავრებულთა კვლევები ემსახურება:

- სამუშაო ბაზრის მოთხოვნებისა და სამუშაო ძალის ზოგადი მახასიათებლების შედარებასა და ამ მიმართულებით შეუსაბამობების/საჭიროებების გამოვლენას (ბაზრის კვლევის სხვა ინსტრუმენტებთან ერთად);
- განათლების ეკონომიკის მიმართულებით გარკვეული აქტუალური საკითხების წარმოჩენას. მაგალითად, განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის გამოანგარიშებას;
- მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების უკეთ აღწერასა და გააზრებას. მაგალითად, სქესის, წინმსწრები განათლების და სხვა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების გავლენის შეფასებას დასაქმებაზე, დასაქმების პირობებსა და კარიერულ განვითარებაზე;
- ქვეყნის ან სექტორის დონეზე პროფესიულ განათლებაში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგების შეფასებას.^{9 10 11} ამ დონეზე ანალიზის ფარგლებში, აგრეთვე, საინტერესო ასპექტებს წარმოადგენს კომპეტენციების ე.წ. ჰორიზონტალური და ვერტიკალური თავსებადობა. ჰორიზონტალურ თავსებადობაში იგულისხმება შეძენილი კომპეტენციების რელევანტურობა სამუშაო კონტექსტთან. ვერტიკალური თავსებადობა გულისხმობს სასწავლო პროგრამის დონის შესაბამისობას სამუშაო პოზიციასთან.^{12 13}

პროფესიული განათლების განმახორციელებელი ცალკეული ინსტიტუციის დონეზე კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები გვანჯდის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას სასწავლო რესურსების, პირობებისა და სასწავლო პროცესის მახასიათებლების შესაძლო გავლენის შესახებ როგორც ცალკეული პროგრამის, ისე საგანმანათლებლო დაწესებულების მიხედვით. ამ მიმართულებებით მნიშვნელოვან ქვეგანზომილებებს წარმოადგენს: კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) მახასიათებლები, მასწავლებლები და სხვა რესურსები, სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული კლიმატი და

⁸ Cedefop, Eurofound (2018). Skills forecast: trends and challenges to 2030. Luxembourg: Publications Office. Cedefop reference series; No 108

⁹ Altonji, J. G. (1993). The demand for and return to education when education outcomes are uncertain. *Journal of Labor Economics*, 11(1, Part 1), 48-83.

¹⁰ ETF, Cedefop, ILO (2017). Carrying out tracer studies: guide to anticipating and matching skills and jobs: volume 6.

¹¹ Hampf, F., Wiederhold, S., & Woessmann, L. (2017). Skills, earnings, and employment: exploring causality in the estimation of returns to skills. *Large-scale Assessments in Education*, 5(1), 1-30.

¹² Cedefop (2021). *Understanding technological change and skill needs: skills surveys and skills forecasting*. Cedefop practical guide 1. Luxembourg: Publications Office.


¹³ Cedefop. (2015a). Handbook for VET providers. Cedefop Reference series. Luxembourg: Publications Office of the European Union. Luxembourg: Publications Office.

ორგანიზაციული კულტურა, კურსდამთავრებულთა ქსელები და მათი კავშირები საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.^{14 15 16}

კურსდამთავრებულთა კვლევის მნიშვნელოვან სპეციფიკურ მახასიათებელს წარმოადგენს სასწავლო პროგრამების „რეტროსპექტული“ შეფასება. ის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანჭვდის პროფესიული განათლების შედეგების სხვადასხვა ასპექტის შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარებას. კვლევა ხორციელდება ყოველწლიურად, რაც უზრუნველყოფს არსებული მდგომარეობის ანალიზის შესაძლებლობას დინამიკაში, პრობლემებისა და გამომწვევების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

სქემა 1 აჩვენებს კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითად განზომილებებს და პროფესიული განათლების პოლიტიკის იმ არეებს, სადაც გამოიყენება კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები.

სქემა 1. კუხსდამთავრებულთა კვლევის განზომილებები და პოლიტიკის ახეები, სადაც გამოიყენება კუხსდამთავრებულთა კვლევის შედეგები



¹⁴ Coates, H. (2009). Building quality foundations: Indicators and instruments to measure the quality of vocational education and training. *Journal of Vocational Education and Training*, 61(4), 517-534.

¹⁵ Dumbrell, T. (2000). Measuring the outcomes of vocational education and training. *Leabrook, South Australia: National Centre for Vocational Education Research*.

¹⁶ ETF (2014b). Quality assurance in Vocational Education and Training. A collection of articles.

კურსდამთავრებულთა კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო, კონსტრუქტები და ცვლადები

კურსდამთავრებულთა კვლევა, როგორც აღწერილი, ისე ახსნილი ხასიათის კვლევაა, რომელიც კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ცვლადების მიხედვით სურათის დეტალურად დახასიათების შესაძლებლობას იძლევა. იგი შეიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის მათ შორის, თავად კურსდამთავრებულთათვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისთვის, დამსაქმებლისთვისა და ზოგადი პოლიტიკის დონეზე გადაწყვეტილების მიმღებთათვის მნიშვნელოვან და მრავალფეროვან ინფორმაციას, როგორც დასაქმებისა და სამუშაოს სპეციფიკის, ისე პროფესიული განათლების სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

კურსდამთავრებულთა კვლევის კონცეპტუალური ლოგიკა ეყრდნობა ე.წ. სისტემურ მოდელს. ამ მოდელის ძირითად დაშვებას წარმოადგენს ის, რომ ნებისმიერი ტიპის ამონაგები, რომელიც განისაზღვრება კურსდამთავრებულთა კომპეტენციებით დასაქმების მაჩვენებლებითა და შრომის ბაზარზე მათი ინტეგრაციის ხარისხით განპირობებულია შენატანით. აღნიშნული, თავის მხრივ, მოიცავს ფინანსურ, ადამიანურ და ინფრასტრუქტურულ რესურსებს, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად, ასევე, აღსანიშნავია პროცესის მახასიათებლები, რომელიც მოიცავს სასწავლო მეთოდოლოგიას, პროგრამის მართვასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

კურსდამთავრებულთა კვლევის კონსტრუქტები და ცვლადები

კვლევის მიზნების კომპლექსურობიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა კვლევის მსოფლიოში აპრობირებული ინსტრუმენტების საბაზო მოდული 100-მდე სხვადასხვა ცვლადს აერთიანებს, რომლებიც რამდენიმე მნიშვნელოვან განზომილებაში შეიძლება დაჯგუფდეს.

- 1. კურსდამთავრებულის სოციო-დემოგრაფიული მონაცემები:**
კურსდამთავრებულის სქესი, ასაკი, წინარე და შემდგომი განათლება (პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, სწავლის პარალელურად, სწავლის დასრულების შემდეგ), საცხოვრებელი ადგილი, დასაქმება, სამომავლო გეგმები.
- 2. პროგრამაზე სწავლის გამოცდილება (რეტროსპექტიული შეფასება):**
ამ მიმართულების ფარგლებში ძირითადი ქვესაკითხებია:
 - სწავლა-სწავლების თავისებურებების შეფასება (სწავლების მეთოდები და მიდგომები, სტუდენტებთან და პედაგოგებთან ინტერაქცია, მასწავლებლების კომპეტენცია, სასწავლო მასალები);

- სწავლის პროცესის ხელშემწყობი ორგანიზაციული სტრუქტურისა და სერვისების შეფასება (პრაქტიკის კომპონენტის ფასილიტაცია, კარიერული განვითარების მხარდაჭერა, სწავლის პროცესის მხარდაჭერა, მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა, სტუდენტების ჩართულობა პროგრამებისა და სერვისების განვითარების შეფასებასა და დაგეგმვაში).
- 3. სწავლის შედეგები:** პროფესიული ცოდნის, პროფესიული უნარების, ზოგადი უნარებისა და დამოკიდებულებების (კომპეტენციების) რელევანტურობის შეფასება სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან და ინდივიდუალური განვითარების მიზნებთან მიმართებით.
- 4. დასაქმება და სამუშაო პირობები:** ეს განზომილება, თავის მხრივ, მოიცავს:
- ამჟამინდელი სამუშაო სტატუსი და შრომითი კმაყოფილება: სამუშაოს შესაბამისობა მიღებულ კვალიფიკაციასთან, სამუშაოს რანგი, დასაქმების სფერო, კომპეტენციების გამოყენება სამუშაოს შესრულებისას, საჭირო კომპეტენციები, სასწავლო პროგრამის როლი დასაქმებაში.

კურსდამთავრებულთა კვლევის დიზაინი - ქსელური ინსტიტუციური მოდელი

კურსდამთავრებულთა კვლევის ახალი მოდელი წარმოადგენს ე.წ. ქსელურ ინსტიტუციურ მოდელს, რომელიც ცენტრალიზებული და ინსტიტუციური (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე) ადმინისტრირებული მოდელების ჰიბრიდულ ვერსიად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ქსელური ინსტიტუციური მოდელი არის კვლევითი მიდგომა, რომელიც ორგანიზაციებსა და ინსტიტუციებს შორის ურთიერთქმედებასა და თანამშრომლობაზე აკეთებს აქცენტს. ეს მოდელი განსაკუთრებით ეფექტიანია ისეთ სფეროებში, სადაც ისეთი რთული და მრავალდონიანი სტრუქტურები მოქმედებს, როგორცაა, მაგალითად, განათლება.

ქსელური ინსტიტუციური მოდელი პროფესიული განათლების სექტორში ხელს უწყობს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობასა და პარტნიორობას. მოდელის პრაქტიკულ ღირებულებას განაპირობებს ის, რომ სხვადასხვა ინსტიტუციას შორის თანამშრომლობით შესაძლებელია ფართო სპექტრის მონაცემების მოპოვება. აგრეთვე, სიღრმისეულად ხდება კურსდამთავრებულთა უნარების, კარიერული განვითარებისა და დასაქმების შეფასება.

მთლიანობაში, კვლევის ქსელური ინსტიტუციური მოდელი ხელს უწყობს მონაცემთა ხარისხისა და სიზუსტის გაუმჯობესებას.

ქსელურ მოდელში გაერთიანებულია ის ძირითადი უპირატესობები, რომლებიც ცენტრალიზებულ და ინსტიტუციურ მოდელებს ახასიათებს. კერძოდ:

- ცალკეულ დაინტერესებულ მხარეს (პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას) აქვს შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს როგორც კვლევის დიზაინის შემუშავების, ისე მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესში, თუმცა, კვლევის პროცესი და მონაცემების ანალიზი მიმდინარეობს უნიფიცირებული მიდგომებისა და ხარისხის შეთანხმებული სტანდარტების გათვალისწინებით.
- მაკრო დონეზე ზოგადი ინფორმაციის გარდა ასეთი მოდელი მონაცემების მიკრო და მეზო დონეებზე სეგრეგირების შესაძლებლობასაც ქმნის, მაგალითად, ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის, საგანმანათლებლო დაწესებულების, სწავლის სფეროს ან დარგის მიხედვით.
- კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, ერთი მხრივ, ეს მოდელი ხელს უწყობს ხარისხის საერთო სტანდარტების ფორმირებას და დაცვას საერთო მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებისა და შესაბამისი მონიტორინგის გზით. თუმცა, მეორე მხრივ, იგი მოიაზრებს ცალკეული ინსტიტუციის კომპეტენციების განვითარებას, რადგან ამ მოდელში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება კვლევის დიზაინისა და ანგარიშის თანაშემქმნელად გვევლინება.

კურსდამთავრებულთა კვლევების ქსელური ინსტიტუციური მოდელი აერთიანებს საქართველოში მოქმედ ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც თანამშრომლობენ კურსდამთავრებულთა კვლევების განხორციელების პროცესში.

თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები გულისხმობს შემდეგს:

- პროფესიული უნარების სააგენტო პსდ-ებთან თანამშრომლობით ერთობლივად შეიმუშავებს კითხვარის ე.წ. საბაზო მოდულს, რომელიც ყველა პსდ-თვის საერთოა.
- მონაცემების შეგროვება ყველა პსდ-ში მიმდინარეობს სტანდარტული პროტოკოლით საერთო ვადებისა და ეტაპების გათვალისწინებით. მონაცემების შეგროვების პროცესის მართვა ხდება ერთიან ელექტრონულ პლატფორმაზე, რომელიც პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ სპეციალურად კურსდამთავრებულთა კვლევისათვის შეიქმნა.

- მონაცემების მთავარი ნაკადის დამუშავება ხდება უნიფიცირებულად - არსებობს ერთიანი მონაცემთა ელექტრონული ბაზა, თუმცა, თითოეული დაწესებულების მონაცემი კონფიდენციალურია. ყველას აქვს წვდომა მხოლოდ საკუთარ მონაცემებზე.
- ყველა პსდ იღებს ინდივიდუალურ ელექტრონულ ანგარიშს საბაზო მოდულისთვის, რაც გულისხმობს დაწესებულებისა და პროგრამის დონეზე შედეგებს გრაფიკული სახით.
- ქსელის ფარგლებში იმართება შემატყამებელი სამუშაო შეხვედრები, პროფესიული უნარების სააგენტო ტექნიკურ დახმარებას უწევს პსდებს მონაცემების დამუშავების პროცესში.
- ქსელის მიზანია კურსდამთავრებულთა კვლევის პროფესიონალიზაცია და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევის საკითხებში კომპეტენტური გუნდის ფორმირება.

კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია

დროის ინტერვალის პროგრამის დასრულებიდან

კურსდამთავრებულთა კვლევის მიმართულებით საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციით პროგრამის დასრულებიდან კვლევაში მონაწილეობამდე დროის ინტერვალის არ უნდა იყოს ერთ წელიწადზე მცირე და ორ წელიწადზე მეტი. პროგრამის დასრულებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ შეუძლებელია პროგრამის შედეგების სრულფასოვნად შეფასება, რადგან კურსდამთავრებულთა დიდ ნაწილს ჯერ არ აქვს საკმარისი სამუშაო გამოცდილება. მეორე მხრივ, პროგრამის დასრულებიდან დიდი დროის გასვლის შემდეგ, იზრდება კურსდამთავრებულის კარიერულ განვითარებაზე სხვა პროგრამისგან დამოუკიდებელი, ფაქტორების ეფექტი. გარდა ამისა, რთულდება კურსდამთავრებულთა დაკავშირებისა და მათი კვლევაში ჩართვის საკითხების მოგვარება.

კურსდამთავრებულთა კვლევის მასშტაბი

ინსტიტუციური ქსელური მოდელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ კვლევის ფარგლებში შესაძლებელია მონაცემების მოპოვება სტრუქტურული იერარქიის ყველაზე მცირე ერთეულის - საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე.

მონაცემების ერთიან ელექტრონულ ბაზაში (Evaluation.ge) აკუმულირების შედეგად, ამგვარი დეტალიზაციით შეგროვებული მონაცემები შემდგომში შესაძლებელია გაერთიანდეს სხვადასხვა კომბინაციით (კვლევის

საჭიროებებიდან და ცვლადების სპეციფიკიდან გამომდინარე), მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულების, სწავლის სფეროს, სექტორის ან ქვესექტორის დონეზე.

კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლების განხორციელების სიხშირე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევები ხორციელდება ყოველწლიურად. იგივე რეკომენდაცია (ყოველწლიური ციკლების განხორციელება) არის გაცემული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროპის ტრენინგის ფონდის მიერ.

შერჩევა

ვინაიდან კვლევის დიზაინის ფორმატად საქართველოში შერჩეულია ქსელური ინსტიტუციური მოდელი, რაც კვლევის ადმინისტრირებას ცალკეული ინსტიტუციის დონეზე მოიაზრებს, მეთოდოლოგია გულისხმობს ერთი კოჰორტის ფარგლებში კურსდამთავრებულთა სრული აღწერის განხორციელებას (ყველა კურსდამთავრებულის კვლევაში მოწვევას).

ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას სურს ინფორმაციის მიღება თითოეული პროგრამის მიხედვით, სადაც სტუდენტთა რაოდენობა შესაძლოა მცირე იყოს, რაც შერჩევის განხორციელებას აზრს უკარგავს.

კვლევის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო ის გარემოება, რომ კვლევაში მოწვეულ კურსდამთავრებულთაგან მონაწილეობას მიიღებდა მხოლოდ ნაწილი.

რისკის მინიმიზაციის მიზნით კვლევაში ჩართული ინსტიტუციები გარკვეულ დამატებით ღონისძიებებს მიმართავდნენ და კვლევისათვის შემუშავებული სპეციალური პროტოკოლით სარგებლობდნენ, რაც გულისხმობდა კურსდამთავრებულთა რამდენჯერმე მოწვევას (სულ მცირე ორი შეხსენების გაგზავნას ერთ-ორკვირიანი შუალედებით).

მომავალში ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭება წინასწარ მუშაობას სტუდენტებთან, კერძოდ, სწავლის პროცესში ამ კვლევის მნიშვნელოვნების ახსნას და კურსდამთავრებულთა კლუბების/ქსელების ფორმირებისკენ მიმართულ აქტივობებს.

საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში პასუხების საშუალო წილი კვლევებში საშუალოდ 30-50%-ს შეადგენს.

როგორც უკვე აღინიშნა კვლევების დიდი ნაწილი ხორციელდება შერჩევითი გამოკვლევის საფუძველზე, რომლის დროსაც უმეტეს შემთხვევაში ირჩევა გენერალური ერთობლიობის 10 პროცენტზე ნაკლები, მოცემულის დადებითი მხარე, უპირველეს ყოვლისა, ნაკლები დანახარჯებია, თუმცა, უარყოფით მხარეს წარმოადგენს შერჩევითი ცდომილება. პრობლემის მინიმიზაციის მიზნით, კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა კვლევის ინსტიტუციური მოდელი, რომელიც კვლევაში კოლეჯების მაქსიმალურ ჩართულობასა და მოცემულ პერიოდში კურსდამთავრებულთა მაქსიმალური რაოდენობის გამოკითხვას გულისხმობდა. აღნიშნულის საფუძველზე საბოლოოდ გამოპასუხების დონემ გენერალური ერთობლიობის 54.6 პროცენტი შეადგინა, რაც ზემოაღნიშნულ საერთაშორისო პრაქტიკის საშუალო მაჩვენებელზე საგრძნობლად მაღალია. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში, თითოეული კოლეჯისათვის განსაზღვრული იყო პროგრამების მიხედვით გამოკითხულ კურსდამთავრებულთა მინიმალური ზღვარი, რაც უზრუნველყოფდა საბოლოო შედეგების 95 პროცენტიან საიმედოობას.

მონაცემების შეგროვების მეთოდები

კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაცემების შეგროვების ძირითად მეთოდს წამოადგენს Computer assisted self-interviewing (CASI). აღნიშნული მეთოდის საფუძველზე რესპონდენტი კითხვარს თავად ავსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდის გამოყენების ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რესპონდენტის აღქმისა და ცოდნის უნარებზე, რადგან მას უნდა შეეძლოს, როგორც წერა-კითხვა და წაკითხულის სწორად გაგება, ისე კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობა. საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, სტრუქტურირებული კითხვარის პარალელურად, ასევე, განხორციელდა თვისებრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფებისა და სატელეფონო ინტერვიუს მეთოდების გამოყენებით, გარკვეული ასპექტების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით.

ამ მეთოდის გამოყენება დაკავშირებულია ნაკლებ ფინანსურ ხარჯთან, რადგან გამოკითხვის მეთოდი არ მოითხოვს ინტერვიუერის ჩართულობას. ონლაინ გამოკითხვის პოპულარობა მნიშვნელოვნად უკავშირდება ინტერნეტის გამოყენების სიხშირეს, რაც ყოველდღიურად მზარდია. თუმცა, აღნიშნულ მეთოდს ახასიათებს გამოპასუხების დაბალი დონე და რესპონდენტების კითხვარის შევსების ნაკლები გამოცდილება.

ამ რისკების შესამცირებლად კვლევის ფარგლებში:

- საჭიროების შემთხვევაში, რესპონდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ონლაინ ან სატელეფონო დახმარება;

- პროტოკოლის მიხედვით, განხორციელდა პორტალზე ატვირთული ინფორმაციის მონიტორინგი და არასრული მონაცემების წილის შემცირების ღონისძიებები;
- რესპონდენტებს შეეძლოთ კითხვარის შევსება, როგორც კომპიუტერის, ისე მობილური ტელეფონის გამოყენებით; კითხვარში მოცემული იყო მკაფიო და ამომწურავი ინსტრუქციები, კითხვები დაჯგუფებული იყო მარტივად აღსაქმელ, შინაარსობრივად შეკრულ ერთეულებად;
- მოხდა საერთო ცვლადების გადამონმება კურსდამთავრებულთა სანყის ბაზასთან, ასევე, ლოგიკური და ტექნიკური უზუსტობების კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტება და შესაბამისად, რედაქტირება.

კურსდამთავრებულთა კვლევის ონლაინ ფორმატში განხორციელების მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ კითხვარის შევსებისას მოქმედებს ე.წ. „თვითშერჩევის პრინციპი“ - კურსდამთავრებულები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, მიიღონ თუ არა მონაწილეობა კვლევაში. შესაბამისად, არსებობს იმის რისკი, რომ გამოკითხვაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებიც უფრო მოტივირებულები არიან, შეინარჩუნონ კომუნიკაცია პსდ-თან, უფრო ლოიალურად არიან განწყობილნი პროგრამის მიმართ და სხვა. ეს გარემოება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კვლევის ვალიდობაზე - შედეგები შესაძლოა ასახავდეს კურსდამთავრებულთა მხოლოდ ნაწილის მოსაზრებებს და არ იყოს მთლიანი კოჰორტის აზრის ამსახველი. შესაბამისად, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ონლაინ გამოკითხვის ზემოხსენებული შეზღუდვა.

კურსდამთავრებულთა კვლევის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ასპექტები

მრავალ უპირატესობასთან ერთად ქსელური ინსტიტუციური დიზაინი გარკვეულ გამოწვევებსაც უკავშირდება. მაგალითად, ამ დიზაინის მთავარ დაშვებას წარმოადგენს ის, რომ პროფესიული განათლების განმახორციელებლები თავად უნდა ფლობდნენ საჭირო კომპეტენციების მინიმუმს კვლევის დიზაინის, ადმინისტრირებისა და შედეგების დამუშავების პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის. ხოლო ინსტიტუციის დონეზე არსებობს შესაბამისი გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს კვლევის ინსტიტუციურ და ქსელურ ღონისძიებებში.

ქსელური დიზაინის წარმატებით ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის მოხდა კვლევასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესებისა და პროცედურების სტანდარტიზაცია, შეიქმნა ამ პროცესების დეტალური

აღწერები. ქსელში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ყოველკვირეულად იკრიბებოდნენ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და მეთოდოლოგიური საკითხების განსახილველად. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო, გრძელვადიანი პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 88.6 პროცენტი ჩაერთო აღნიშნულ კვლევაში.

ინსტიტუციური ქსელის სტრუქტურა

როგორც უკვე აღინიშნა, ინსტიტუციური ქსელური მოდელი კურსდამთავრებულთა კვლევის ცენტრალური და ინსტიტუციური ფორმების ჰიბრიდულ მოდელს წარმოადგენს, სადაც კვლევის ციკლის ყველა ეტაპი (დაგეგმვა, განხორციელება, შედეგების ანალიზი და კომუნიკაცია) მიმდინარეობს შეთანხმებულად, როგორც ცენტრალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე.

ქსელური ინსტიტუციური მოდელი სტრუქტურულად მრავალშრიანი და მოქნილია, რაც მას საშუალებას აძლევს, ეფექტურად მართოს რთული და დინამიური პროცესები. ძირითადი სტრუქტურებია:

- ცენტრალური კოორდინატორი - ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო;
- ინსტიტუციური პარტნიორები - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ცენტრალურ დონეზე კურსდამთავრებულთა კვლევას კოორდინაციას უწევდა პროფესიული უნარების სააგენტოს შესაბამისი კვლევითი ერთეული. ქსელის მაკოორდინებელი როლის გარდა, ცენტრალური ერთეულის ფუნქციაა კვლევის დიზაინის პროდუქტების საბოლოო ვერსიების შემუშავება, შესაბამისი დამხმარე მასალებისა და ინსტრუქციების შექმნა, ქსელში ჩართული ინსტიტუციების შიგნით ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა და ინსტიტუციების ტექნიკური დახმარება, ქსელური ღონისძიებების ორგანიზება, სინთეზური ანგარიშების კონცეფციის შემუშავება და სინთეზური ანგარიშის მომზადება მაკრო დონეზე.

კვლევაში ყველა პსდ-დან ჩაერთო შესაბამისი კვლევითი გუნდი ან თანამშრომელი. კვლევითი გუნდის/თანამშრომლის ფუნქციები ორ მსხვილ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

- კვლევის კოორდინაცია - წარმომადგენლობითი ფუნქცია ქსელურ მოდელში, კვლევის დიზაინის შემუშავებასა და მონაცემების დამუშავებაში მონაწილეობა, კვლევითი ციკლის ეტაპების კოორდინირება, ინსტიტუციური ანგარიშის კონცეპტუალური მოდელის შემუშავება და ანგარიშის მომზადების კოორდინაცია;

- მონაცემების მართვა - კვლევის დიზაინის ტექნიკური საკითხების ფორმულირებაში მონაწილეობა შერჩევის, საველე სამუშაოებისა და მონაცემების შეყვანის/წმენდის პროცესის განხორციელება, შიდა აქტორებთან და რესპონდენტებთან კომუნიკაცია.

ქსელურ დონეზე შეიქმნა წარმომადგენლობითი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ინსტიტუციურ დონეზე კვლევის კოორდინატორებით და რამდენჯერმე შეიკრიბა ადმინისტრაციული და შინაარსობრივი საკითხების განსახილველად.

ქსელის დონეზე მოხდა კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებების გაცნობა, საკვანძო გადანყვეტილებების განხილვა და მიღება. ქსელურ დონეზე, ასევე, განხორციელდა სტანდარტიზებული ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმირების ღონისძიებები.

კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლის სტანდარტული პროცესები

კურსდამთავრებულთა კვლევის ერთი სტანდარტული ციკლის ხანგრძლივობა 6 თვეს შეადგენს და სამ ძირითად ფაზად იყოფა.

- პირველი ფაზა გულისხმობს კვლევის დიზაინსა და ინსტრუმენტებში ცვლილებების შემუშავებასა, შეთანხმებას, ასევე, კვლევისათვის მნიშვნელოვანი საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას;
- მეორე ფაზა მთლიანად ეთმობა საველე სამუშაოების განხორციელებას, ტექნიკურ მხარდაჭერასა და მონიტორინგს;
- მესამე ფაზა კვლევის ციკლის ყველაზე ხანგრძლივი ეტაპია, რომელიც აერთიანებს მონაცემთა ბაზის წმენდას, მაჩვენებლების გაანგარიშებას, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციას, ანგარიშის მომზადებასა და კვლევის შედეგების გაცნობას დაინტერესებული მხარეებისათვის.

ცხიდი 1: კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი ეტაპები და განხივი

ფაზა	ძირითადი ამოცანები	ხანგრძლივობა
1. კონცეფციის და ინსტრუმენტების შემუშავება/რევიზია კურსდამთავრებულთა კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები	<ul style="list-style-type: none"> • ინსტიტუციური კვლევითი გუნდის დაკომპლექტება • მოდულების გამოყენების შესახებ გადანყვეტილების მიღება • ახალი მოდულების ფორმირება • ახალი მოდულების პილოტირება • საინფორმაციო და დამხმარე მასალების მომზადება 	2 თვე

	<ul style="list-style-type: none"> • კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის ფორმირება/რევიზია
2. მონაცემების შეგროვება	<ul style="list-style-type: none"> • მონაწილეთა მონვევა • ველის განხორციელება და 1 თვე მონიტორინგი • ინფორმაციის სრულყოფა
3. შედეგების ანალიზი	<ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ბაზის წმენდა • მაჩვენებლების გაანგარიშება 3 თვე • ანგარიშების მომზადება • შედეგების გავრცელება

კვლევის ციკლის ჩამოთვლილ ეტაპებს მოსდევს რეფლექსიის და დაგეგმვის ფაზები, რომლებიც წინა ციკლის შედეგების შეჯამებას და მომავალი ციკლის დაგეგმვას ეთმობა.

ელექტრონული პორტალი

ელექტრონული პორტალი კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლის მართვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად მოიაზრება.

ერთი მხრივ, ელექტრონული პორტალი წარმოადგენს მონაცემების აკუმულირებისა და შედეგების კომუნიკაციის ერთიან სივრცეს. ამ სივრცეში შესაძლებელია კურსდამთავრებულთა კვლევის ზოგადი მიზნებისა და მთავარი შედეგების შესახებ ინფორმაციის მოძიება. ასევე, კვლევის ტექნიკური დოკუმენტაციისა და მონაცემთა ბაზების (ღია მონაცემების) ჩამოტვირთვა.

მეორე მხრივ, ელექტრონული პორტალის ფუნქციაა, გააადვილოს კვლევის პროცესის მართვა შესაბამისი ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორებიცაა: ქსელის წევრების რეგისტრაცია, ქსელში ინფორმაციის გავრცელება, ციკლის ძირითადი პროცესებისა და ვადების მართვა, ციკლის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ატვირთვა და ჩამოტვირთვა, ასევე, კვლევაში ჩართულ აქტორებს შორის კომუნიკაცია.

კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მახასიათებლები

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს კურსდამთავრებულთა კვლევის მოდელის ძირითად მახასიათებლებს. ამ მახასიათებლებს შორის უმნიშვნელოვანესია კვლევაზე მუშაობის ქსელური პრინციპი, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე პროფესიული განათლების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და პროფესიული უნარების სააგენტოს აქტიურ ჩართულობას მოითხოვს.

ცხიდი 2: საქართველოში კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მახასიათებლები

კვლევის ასპექტი	სპეციფიკა
კვლევის დიზაინი	ქსელური ინსტიტუციური მოდელი
კვლევის ტიპი	კოჰორტული (ცალკეული პროგრამებისთვის შესაძლოა განხილული იქნას პანელური ვერსია)
განხორციელების ციკლი	რეგულარული (ყოველწლიური ან ორწელიანადში ერთხელ)
ინტერვალი პროგრამის დასრულებიდან	ერთი ან ორი წელი
ძირითადი მეთოდი	ანკეტირება სტრუქტურირებული კითხვარით, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით
მონაცემების საჯაროობა	ინსტიტუციური ანგარიშები მზადდება, პსდების მიერ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით. მონაცემების გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება ინდივიდუალურად ქსელის წევრების მიერ. სისტემურ ანგარიშში არ ხდება მონაცემების აგრეგირება ინსტიტუციების მიხედვით, დაცულია კონფიდენციალურობის პრინციპი.
კვლევის მასშტაბი	საგანმანათლებლო პროგრამის დონე.
შერჩევა	კვლევაში ხდება ერთი კოჰორტის ყველა კურსდამთავრებულის მოწვევა.
ადმინისტრირების ტიპი	ელექტრონული, დისტანციური.
ინსტრუმენტის სტრუქტურა	მოდულური საბაზო (ყველასათვის საერთო მოდული) და სპეციალური მოდულები, რომლებიც საჭიროებისამებრ შემუშავდება ინსტიტუციების ან მათი ჯგუფების მიერ, პროფესიული უნარების სააგენტოს მეთოდოლოგიური დახმარებით.


მონაწილეები

2023 წლის კურსდამთავრებულთა სავსე საქმიანობა განხორციელდა 2024-2025 წლის დეკემბერი-იანვარი პერიოდში. 2023 წელს გრძელვადიანი პროგრამების კურსდამთავრებულები ჰყავდა 70 საგანმანათლებლო დაწესებულებას, კვლევაში მონაწილეობა კი 62 დაწესებულებამ მიიღო.

2023 წელს გრძელვადიანი პროგრამა დაასრულა 8,144 სტუდენტმა, კურსდამთავრებულთა 65.3 პროცენტი სწავლობდა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 34.7 პროცენტი - კერძოში. 2023 წელს ყველაზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავდა ელექტროობის პროგრამას (581), საექთნო საქმეს (461), ინფორმაციის ტექნოლოგიებს (415), საფინანსო სერვისებს (358) და ფარმაციას (309). რაც შეეხება პროგრამის ტიპს - კურსდამთავრებულთა 7.5 პროცენტმა დაასრულა კოოპერაციული, 3.1 პროცენტმა - დუალური, ხოლო 1.7 პროცენტმა - იმიტირებული. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 4,448 კურსდამთავრებულმა, შესაბამისად, გამოპასუხების დონემ 54.6 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია გამოკითხულ კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა 1: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით




ზემოაღნიშნული დიაგრამის მიხედვით, ყველაზე მეტი კურსდამთავრებული გამოიკითხა თბილისსა და აჭარაში, რაც, ბუნებრივია, გამოწვეულია ამ რეგიონებში კურსდამთავრებულთა მაღალი რიცხოვნობით, შესაბამისად, 2023 წლის კურსდამთავრებულთა მთლიანი რიცხოვნობის 32.2 % თბილისში, ხოლო 19.4 % აჭარაში იყო.

რაც შეეხება კურსდამთავრებულთა გენდერულ განაწილებას, აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა მთლიან რიცხოვნობაში კაცების პროცენტული წილი 51.7 % -ს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება გენდერულ ქრილში.

დიაგრამა 2: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება გენდერულ ქრილში



გამოკითხულთა ასაკობრივ ანალიზის მიხედვით, კურსდამთავრებულთა საშუალო ასაკი 30.4 წელი, მედიანური მნიშვნელობა - 28, ხოლო მოდალური 21 წელი შეადგინა. ყველაზე მეტი გამოკითხული, შესაბამისად, 34.1% წარმოდგენილია 19-25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების გარდა, უმნიშვნელოვანესია კურსდამთავრებულთა განათლების მიღწეული დონე პროფესიული პროგრამის კურსის დასრულებამდე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გამოკითხულ კურსდამთავრებულთა განათლების მიღწეული დონე პროფესიული პროგრამის კურსის დასრულებამდე.

ცხიდი 3: კუხსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება წინამდებარე განათლების მიღწეული დონის მიხედვით

განათლების დონე	%
პროფესიული განათლება	21.3
უმაღლესი განათლება (ბაკალავრი)	21.9
უმაღლესი განათლება (მაგისტრი)	6.6
უმაღლესი განათლება (დოქტორი)	0.2
საბაზო განათლება (1-9 კლასი)	10.3
საშუალო განათლება (10-12 კლასი)	39.6

კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ძირითადად საშუალო განათლების მქონე ადამიანები აბარებენ. ეს მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ პროფესიული განათლება, როგორც კარიერული განვითარების ერთ-ერთი ალტერნატივა, პოპულარულია იმ ადამიანებისთვის, ვინც სკოლის დასრულების შემდეგ უშუალოდ კონკრეტული პროფესიით დასაქმებას განიხილავს. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ პროფესიული განათლების მიმართ მნიშვნელოვან ინტერესს იჩენენ უმაღლესი განათლების მქონე პირებიც, ეს ტენდენცია მიანიშნებს იმაზე, რომ შრომის ბაზარზე მზარდია მოთხოვნა პრაქტიკული უნარებისა და სპეციალიზებული ცოდნის მქონე კადრებზე, რაც პროფესიულ განათლებას კიდევ უფრო აქტუალურ და ღირებულ არჩევანად აქცევს.

კვლევის ფარგლებში ინფორმაცია შეგროვდა დამატებითი საჭიროებების სტატუსის მქონე პირების შესახებ. აღნიშნული უმნიშვნელოვანესია როგორც სოციალური ასპექტების, ასევე, შრომის ბაზრის ანალიზის კუთხით. კურსდამთავრებულთა 72.1 %-მა დააფიქსირა, რომ მას არ აქვს მინიჭებული დამატებითი საჭიროებების მქონე პირის სტატუსი, ყველაზე მეტმა კურსდამთავრებულმა, შესაბამისად, 8.3 %-მა დააფიქსირა, რომ მას აქვს სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი, 8.2 %-ს - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, 4.9 %-ს - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი, 4.5 %-ს - ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილი) სტატუსი, ხოლო 1.7 %-ს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი.


კვლევის შედეგები

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია

2023 წლის კურსდამთავრებულებმა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადაწყვეტილების მიღების ძირითად მიზეზებად დაასახელეს:

- საინტერესო სასწავლო პროგრამა/პროფესია;
- დასაქმების მაღალი შანსი;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების კარგი რეპუტაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მდებარეობა;
- მშობლების/ახლობლების რჩევა;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების შესაძლებლობა;
- სწავლის საფასურის არარსებობა/უფასო სწავლა;
- კარიერული განვითარების/დაწინაურების შესაძლებლობა.

დიაგრამა 3: კუხსდამთავრებულების პიროვნული განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადაწყვეტილების მიღების ძირითადი მიზეზების მნიშვნელობების მიხედვით



კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ პროფესიული განათლების არჩევისას სტუდენტებისთვის გადამწყვეტი ფაქტორები ძირითადად აკადემიურ და კარიერულ საკითხებს უკავშირდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი კურსდამთავრებულთა 86.0 %-ისთვის სასწავლო პროგრამისა და პროფესიის საინტერესობა აღმოჩნდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტები განათლებას არა მხოლოდ დასაქმების საშუალებად, არამედ პიროვნული განვითარებისა და პროფესიული კმაყოფილების მიღწევის გზადაც განიხილავენ.

მნიშვნელოვანი როლი უკავია ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაციას (82.6%) და სწავლის საფასურის არარსებობას/უფასო სწავლის შესაძლებლობას (80.4%). ეს ასახავს იმ ფაქტს, რომ პროფესიული განათლების არჩევისას სტუდენტები დიდ ყურადღებას აქცევენ პროგრამის ხარისხს, საზოგადოებრივ აღიარებას და ფინანსურ ხელმისაწვდომობას. უფასო სწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს ზრდის განათლების ხელმისაწვდომობას იმ პირებისთვის, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო შეზღუდული აქვთ არჩევანი.

კარიერული განვითარების შესაძლებლობა (77.3%) და დასაქმების მაღალი შანსი (74.9%) პროფესიული განათლების არჩევის პროცესში სტუდენტების მნიშვნელოვანი მოტივატორებია. ეს ტენდენცია ხაზს უსვამს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების და განათლების პრაქტიკული დანიშნულების მნიშვნელოვნებას. სტუდენტები ცდილობენ, აირჩიონ ისეთი პროგრამები, რომლებიც მათ კონკურენტუნარიანობას გაზრდის და დასაქმების შესაძლებლობებს გააფართოვებს.


პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მდებარეობა (72.4%) ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად რჩება, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ტრანსპორტის ხელმისაწვდომობასთან, საცხოვრებელ პირობებთან და სასწავლო პროცესში ეფექტიან მონაწილეობასთან.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ მშობლებისა და ახლობლების რჩევას მხოლოდ 61.7% აფასებს ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორად, რაც გვიჩვენებს, რომ პროფესიული განათლების არჩევა ძირითადად დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა და იგი ნაკლებად განისაზღვრება გარე ფაქტორებით. ამავე დროს, საკმაოდ დაბალია იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომელთათვისაც სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადება ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო (31.4 %). ეს ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ პროფესიულ განათლებაში ჩარიცხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქალები არიან, რომლებიც სამხედრო სამსახურში განწვევას არ ექვემდებარებიან, ან მათი ასაკი არ შეესაბამება სამხედრო სამსახურში განწვევის ზღვარს.

სასწავლო გარემოს და სწავლების პროცესის შეფასება

კურსდამთავრებულთა კმაყოფილების განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა ასპექტით, რომელთაგანაც ერთ-ერთ უმთავრესს სასწავლო გარემოს და სწავლების პროცესის შეფასება წარმოადგენს.

დიაგრამა 4: სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის შეფასება



კურსდამთავრებულთა შორის სწავლა-სწავლების ხარისხზე დადებითად მოქმედ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის სახელდება მასწავლებელთა კვალიფიკაცია (88.5 %), უშუალოდ სწავლის ხარისხი (84.6 %) და მრავალმხრივი კომუნიკაციის შესაძლებლობა სტუდენტების შეხედულების გათვალისწინებით (80.6 %).

ამ დადებით ტენდენციებთან ერთად, ჩნდება გარკვეული გამოწვევებიც, რომლებიც მეტ ყურადღებას მოითხოვს. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი დასაქმებისა და კარიერული მხარდაჭერის კომპონენტია. მიუხედავად იმისა, რომ უარყოფითი შეფასებების პროცენტული მაჩვენებელი (3.3%) მცირეა, ძალიან კმაყოფილებაც დაბალია, სხვა კომპონენტებთან შედარებით, ასევე დიდია იმ პირთა რიცხვი, რომელიც მიუთითებს, რომ მასზე ინფორმაცია საერთოდ არ აქვთ. აღნიშნული პასუხები შეიძლება განპირობებული იყოს, როგორც

სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების ნაკლებობით, ასევე ინფორმაციის არასათანადო გავრცელებით.

კარიერულ მხარდაჭერასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტომ დაიწყო პროექტის „კარიერის მართვის სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა კარიერის მართვის სპეციალისტების უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მეშვეობით საქართველოს TVET ეკოსისტემაში“ (Quality Assurance for Career Guidance Service through Continuous Professional Development (CPD) of Career Guidance Specialists in TVET Ecosystems of Georgia) განხორციელება. პროექტის მიზანია პროფესიული ორიენტაციის სერვისების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება, შესაბამისი სპეციალისტებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების მოდელის შემუშავება და სპეციალისტებისთვის in-service ტრენინგ პროგრამის შექმნა. აღნიშნული პროექტის განხორციელებით საქართველო გახდა EuroGuidance-ის ქსელის წევრი, რომელიც აერთიანებს ევროპული ქვეყნების კარიერული კონსულტირების სისტემებს.

საყურადღებოა ექსტრაკურიკულური აქტივობების საკითხიც, რომელიც მათ სოციალიზაციასა და საკვანძო კომპეტენციების განვითარებაში ეხმარება. კურსდამთავრებულთა 13.9 %-ს საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ რა სახის აქტივობებში შეეძლო მონაწილეობა. ეს მონაცემი მიუთითებს გარკვეულ ხარვეზებზე, რაც ხელს უშლის სტუდენტებს იმ დამატებითი შესაძლებლობების გამოყენებაში, რომლებიც ხელს შეუწყობდა მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. ამასთან, 1.8 %-მა ექსტრაკურიკულური აქტივობები ძალიან უარყოფითად შეაფასა, რაც შესაძლოა მათი რაოდენობის, მრავალფეროვნებისა და ხარისხის პრობლემას ასახავდეს.


ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად მასწავლებელთა კვალიფიკაციის, სწავლების ხარისხისა და აკადემიური მხარდაჭერის მიმართულებით არსებული წარმატებებისა, საჭიროა დამატებითი ძალისხმევა დასაქმების ხელშეწყობის, ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარებისა და ინკლუზიურობის მიმართულებით.

სწავლის პროცესში შეძენილი/განვითარებული უნარები/ კომპეტენციები

კვლევის ფარგლებში კურსდამთავრებულებმა შეაფასეს სწავლის პროცესში ძირითადად შეძენილი/განვითარებული უნარები და კომპეტენციები.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია სწავლის პროცესში შეძენილი და განვითარებული უნარებისა და კომპეტენციების შეფასება.

დიაგრამა 5: შეძენილი/განვითარებული უნახებისა და კომპეტენციების შეფასება



ზემოთ მოცემული დიაგრამის საფუძველზე სასწავლო პროცესში გუნდურად მუშაობის უნარი საფუძვლიანად განვითარა გამოკითხულთა 79.9 პროცენტმა, პროფესიული ცოდნა 79.2 პროცენტმა, ხოლო პროფესიული უნარები 78.6 პროცენტმა.

თუმცა, კვლევის შედეგებში გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევებიც, კერძოდ, კურსდამთავრებულთა გარკვეულმა ნაწილმა ვერ განვითარა ის უნარები, რომლებიც თანამედროვე შრომის ბაზარზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაგალითად, 6.4 %-მა ვერ გაიღრმავა უცხო ენის ცოდნა, ეს მონაცემი შესაძლოა მიანიშნებდეს უცხო ენის სწავლებისთვის გამოყოფილი რესურსების ნაკლებობას ან პროგრამის ეფექტიანობის გაუმჯობესების საჭიროებას. კიდევ ერთი გამოწვევა კომპიუტერულ უნარებს უკავშირდება, რომელიც კურსდამთავრებულთა 4.1 %-მა ვერ გაიუმჯობესა. იქედან გამომდინარე, რომ თანამედროვე სამყაროში ციფრული კომპეტენციების განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, აღნიშნული მაჩვენებლისთვის ყურადღების მიქცევა აუცილებელია, თუმცა ამის მიზეზი შესაძლოა ასევე იყოს ამ მიმართულებით სტუდენტთა არსებული შედარებით მაღალი კომპეტენციები, სხვა კომპონენტებთან შედარებით, ან ისიც, რომ პროფესიული პროგრამების სწავლის შედეგებს აღნიშნული კომპეტენციების განვითარება არ უკავშირდება.


აღსანიშნავია ისიც, რომ მეწარმეობის მიმართულებით კომპეტენციები ვერ განივითარა სტუდენტთა 4 %-მა, რაც მნიშვნელოვანი უნარია სტუდენტთა მიერ მომავალში საკუთარი საქმიანობის წამოწყებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ზოგადი კმაყოფილება

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გარდა უმნიშვნელოვანესია კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების განსაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების პროცენტული განაწილება.

დიაგრამა 6: კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების პიროცენტული განაწილება



ზემოაღნიშნული დიაგრამის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ ზოგადად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია, რაც, რა თქმა უნდა, გულისხმობს მათ დადებით შეფასებას როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებით, ასევე, სწავლებით კმაყოფილებას. აღნიშნული მაჩვენებელი გენდერულ ქრილშიც მსგავს სურათს იძლევა. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია, ზოგადი კმაყოფილების განსაზღვრა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, სრულიად კმაყოფილებას

აფიქსირებს 36 წლიდან 41 წლამდე კურსდამთავრებულთა 88.3 პროცენტი, სრულიად კმაყოფილებას ყველაზე ნაკლებად აფიქსირებენ 19 წლამდე კურსდამთავრებულები, კერძოდ, გამოკითხულთა 79.1 პროცენტი. აღსანიშნავია რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის კურსდამთავრებულთა ყველაზე მეტი წილი აფიქსირებს უკმაყოფილებას, აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს ახალგაზრდა თაობის უფრო მეტი სიახლისადმი სწრაფვით, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევების მიღების სურვილით.

გარდა ზემოთქმულისა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი შეფასება პროგრამების მიხედვითაც განხორციელდა. პროგრამების კლასიფიცირება მოხდა იმ კრიტერიუმით, სადაც კურსდამთავრებულთა რიცხვი საშუალოზე მაღალია (>32-ზე).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პროგრამების მიხედვით სრულიად კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები.

ცხრილი 4: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სხუდიად კმაყოფილების ყველაზე მაღალი მნიშვნელობების მიხედვით

პროგრამა	სრულიად კმაყოფილება
მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი	100.0
სამთო ტექნიკოსი	98.1
საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია	95.8
თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	95.7
სკოლამდელი აღზრდა	95.7

ამრიგად, ზემოხსენებული პროგრამების კურსდამთავრებულები კმაყოფილნი არიან, როგორც განვლილი პროგრამით, ისე მიღებული ცოდნის ხარისხით. ეს კმაყოფილება ეფუძნება სასწავლო გარემოსა და სწავლების პროცესთან დაკავშირებული კრიტიკული ასპექტების ძალიან მაღალ შეფასებას. კერძოდ, შედეგების თანახმად, ზემოთ მოცემული პროგრამების საერთო დადებითი მხარეებია:

- **სწავლების ხარისხი;**
- **მასწავლებლების კვალიფიკაცია;**
- **სასწავლო მასალების-აღჭურვილობების ხელმისაწვდომობა (მაგ. საგანმანათლებლო რესურსები, წიგნები, ინტერნეტზე წვდომა, ბიბლიოთეკა);**
- **მრავალმხრივი კომუნიკაციის შესაძლებლობა და სტუდენტების შეხედულებების გათვალისწინება;**

▪ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კეთილმოწყობა.**

შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პროფესიული მასწავლებლები ეფექტურად უმკლავდებიან დაკისრებულ მოვალეობას, ხოლო დაწესებულების მიერ მიწოდებული ცოდნა და უნარები აკმაყოფილებს კურსდამთავრებულთა მოლოდინებს. ამასთან, სტუდენტებს აქვთ ყველა ის რესურსი, რაც საჭიროა ნარმატიული სწავლისა და მყარი აკადემიური ბაზის შესაქმნელად. დაწესებულებების ზოგადი ფიზიკური გარემო ხელს უწყობს ჯანსაღი სასწავლო კულტურის ჩამოყალიბებას. ყოველივე ხსენებული კი დადებითად აისახება კურსდამთავრებულთა კმაყოფილებაზე. თუმცადა, მიუხედავად პროგრამებით საერთო მაღალი კმაყოფილებისა, თითოეულ შემთხვევაში შედარებით დაბალ შეფასებას იღებს ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა:

- **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადაპტირებულობა შშმ/სსსმ პირებისთვის;**
- **სტუდენტთა ექსტრაკურსული (სასწავლო პროცესის გარე) აქტივობები (მაგ. კლუბები);**
- **სასწავლებლის მხრიდან სტაჟირების/დასაქმების/სამუშაოს ძიების პროცესში დახმარება.**

ზემოხსენებული შედეგები მიუთითებს დაწესებულებების დონეზე არსებულ სისტემურ გამოწვევაზე და არა კონკრეტული პროგრამის სპეციფიკაზე. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კეთილმოწყობა და სწავლების ხარისხი დადებითად ფასდება კურსდამთავრებულთა მიერ, იკვეთება ხარვეზები ადაპტირებული ინფრასტრუქტურის კუთხით. აღნიშნული შედეგი, ერთი მხრივ, შესაძლოა აიხსნას იმით, რომ გამოკითხულთა უმეტესობას არ ჰქონია პირადი საჭიროება ადაპტირებული გარემოს გამოყენებისა, ხოლო მეორე მხრივ იმითაც, რომ რესპონდენტთა შორის შესაძლოა შეინიშნებოდეს ინფორმირებულობის ნაკლებობა ამ მიმართულებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ასპექტის გაძლიერება და ადაპტირებული გარემოს მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლება აუცილებელია იმისათვის, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად შეესაბამებოდნენ ინკლუზიური და ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი განათლების პრინციპებს. შედეგები, აგრეთვე ცხადყოფს, რომ პროფესიული დაწესებულებები ძირითადად აკადემიურ ასპექტებზე არიან ორიენტირებულნი, ხოლო სტუდენტური ცხოვრების, კულტურული და სოციალური განვითარების ხელშეწყობი აქტივობები ნაკლებადაა განვითარებული ან სათანადოდ არ ხდება ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ. ორივე შემთხვევაში ცალსახაა, რომ სტუდენტური ცხოვრება არ განიხილება, როგორც პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი პლატფორმა, მაშინ როცა კულტურული და სოციალური აქტივობების ნაკლებობა აბრკოლებს სტუდენტებში მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისთვის საჭირო გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. ამასთანავე, დაწესებულებების ძალისხმევა კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით შედარებით ნაკლებად ეფექტიანია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კარიერული სერვისების (რეზიუმეს შედგენა, გასაუბრების სიმულაცია, სამუშაოს ძიების სტრატეგიები, სტაჟირების შესაძლებლობების აქტიური მოძიება) გაძლიერების აუცილებლობას. კურსდამთავრებულებს სჭირდებათ მხარდაჭერა განათლებიდან შრომის ბაზარზე ტრანზიციის პროცესში, რათა მათი მაღალი კვალიფიკაცია ეფექტიანად გარდაიქმნას დასაქმების რეალურ შესაძლებლობებად და კარიერულ წინსვლად.

ცხიდი 5: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სხუიად კმაყოფილების ყველაზე დაბალი მნიშვნელობების მიხედვით

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	75.9
ბუღალტრული აღრიცხვა	75.0
სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	73.3
ღონისძიების ორგანიზება	62.2
ვებტექნოლოგიები	30.8

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შედეგებში მკაფიოდ გამოიყოფა ის პროგრამები, სადაც კურსდამთავრებულთა სრული კმაყოფილების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია სხვა პროგრამებთან შედარებით. ყველა იმ პროგრამაზე, სადაც საერთო კმაყოფილება საშუალოზე დაბალია, გამოიკვეთა სამი ძირითადი ასპექტი, რომელიც ყველაზე ნაკლებად ფასდება კურსდამთავრებულთა მიერ და სისტემურ პრობლემაზე მიუთითებს, მათ შორისაა:

- **სტუდენტთა ექსტრაკურიკულური (სასწავლო პროცესის გარე) აქტივობები (მაგ. კლუბები):** აღნიშნული ასახავს არა მხოლოდ აქტივობების ნაკლებობას, არამედ მიუთითებს ინფორმირებულობის პრობლემაზეც (ვებტექნოლოგიების კურსდამთავრებულთა 34.1%-ს არ ჰქონდა ინფორმაცია ან შეხება სასწავლო პროცესის გარე აქტივობებზე). ცალსახაა, რომ პროფესიული დაწესებულებები ნაკლებად უზრუნველყოფენ სტუდენტური ცხოვრების, კულტურული და სოციალური განვითარების ხელშეწყობს გარემოს, რაც საბოლოოდ

გავლენას ახდენს კურსდამთავრებულთა სოციალურ ინტეგრაციასა და ლიდერული უნარების განვითარებაზე.

- **სასწავლებლის მხრიდან სტაჟირების/დასაქმების/სამუშაოს ძიების პროცესში დახმარება:** მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლება ორიენტირებულია დასაქმებაზე, დაწესებულებების მხრიდან გარდამავალი სერვისები (კარიერული კონსულტაცია, სამუშაოს ძიების მხარდაჭერა) არაეფექტიანია. ეს ქმნის განათლებიდან შრომის ბაზარზე ტრანზიციის სირთულეებს, რაც პირდაპირ აისახება კურსდამთავრებულთა ინტეგრაციაზე.
- **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადაპტირებულობა შშმ/სსსმ პირებისთვის:** ეს შედეგი რამდენიმე ფაქტორით აიხსნება: ერთი მხრივ, გამოკითხულთა უმეტესობას, შესაძლოა, პირადად არ ჰქონია საჭიროება ადაპტირებული ინფრასტრუქტურის გამოყენებისა, მეორე მხრივ კი, სავარაუდოა, რომ შედეგი გარკვეულწილად ასახავს ინფორმირებულობის ნაკლებობასაც.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სრულიად კმაყოფილებას ყველაზე ნაკლებად აფიქსირებენ ვებტექნოლოგიების პროგრამის გამოკითხული კურსდამთავრებულები. ვებტექნოლოგიების პროგრამით კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ასეთი დაბალი მაჩვენებლის ფონზე, დღის წესრიგში დადგა მოცემული საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, რისთვისაც განხორციელდა თვისებრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფებისა და სატელეფონო ინტერვიუების სახით. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რესპონდენტების ძირითადი მოტივაცია ვებტექნოლოგიების პროგრამაზე ჩარიცხვისას იყო შესაბამისი პროფესიის დაუფლება, ვინაიდან ეს სფერო ამჟამად განსაკუთრებით აქტუალური და მაღალანაზღაურებადია. რესპონდენტთა მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა განათლების უფასოდ მიღებისა და სწრაფი გადამზადების შესაძლებლობაზეც. რაც შეეხება კვლევის მონაწილეთა მთავარ მოლოდინებს, ამ თვალსაზრისით დასახელდა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და ხარისხიანი ტექნიკური განათლების მიღება.

ვებტექნოლოგიების პროგრამის კურსდამთავრებულების თანახმად, დასაქმების პროცესი ძალიან რთული აღმოჩნდა მათთვის, რაც ბაზარზე არსებულმა მაღალმა კონკურენციამ განაპირობა. დასაქმების პროცესში გამოკითხულთა ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად გამოცდილების არქონა დასახელდა. მათი თქმით, დამსაქმებლები უპირატესობას ანიჭებენ გამოცდილების მქონე კანდიდატებს, თუნდაც სტაჟიორებს. აღმოჩნდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ცოდნა არ არის საკმარისი დამწყებ პოზიციაზე დასაქმებისთვისაც კი. როგორც კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, განვლილი პროგრამა დასაქმებისთვის საჭირო დონეს არ აკმაყოფილებს. რაც შეეხება სწავლის პროცესს, შედეგებმა ცხადყო, რომ ვებტექნოლოგიების პროფესიული

პროგრამა მოძველებულია და ვერ პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. რესპონდენტთა თანახმად, პროგრამა ზედმეტად გაწელილია და შესაძლებელია იგივე საკითხების სწავლა გაცილებით მოკლე დროში. კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ ისეთ მარტივ პროგრამებს, როგორცაა HTML და CSS, ძალიან დიდი დრო ეთმობა, მაშინ როდესაც უფრო რთული და მოთხოვნადი პროგრამირების ენები, როგორცაა JavaScript და Angular, არასაკმარისად ისწავლება ან მათი ხარისხი დაბალია. რესპონდენტების შეფასებით, Angular და JavaScript სწავლების ბაზისურ დონესაც კი არ აკმაყოფილებს. სასწავლო გარემოსა და ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სწავლის პროცესი ტექნიკურად ნაწილობრივ იყო გამართული, რიგ შემთხვევაში, დაწესებულებებს ჰქონდათ, როგორც ძველი, ისე თანამედროვე და გამართული კომპიუტერებით აღჭურვილი აუდიტორიები.

რესპონდენტების თანახმად, მათ არ ჰქონიათ პრაქტიკული გამოცდილების მიღებისათვის კომპანიებთან ვიზიტების თუ დაპირებული სტაჟირების გავლის შესაძლებლობა. პრაქტიკული კომპონენტი მხოლოდ და მხოლოდ გუნდური პროექტის მომზადებით შემოიფარგლებოდა. საყურადღებოა ისიც, რომ ვებტექნოლოგიების პროგრამის ფარგლებში დარგობრივი უნარები მხოლოდ ბაზისურ დონეზე ისწავლებოდა. რაც შეეხება პროფესიულ მასწავლებლებს, რესპონდენტების უმეტესობა კმაყოფილი იყო მათი კომპეტენციით. თუმცა, გამოკითხულთა ნაწილის თანახმად, ზოგიერთი რთული ენის მასწავლებელი არ იყო კომპეტენტური, სტუდენტებს კი თავად უწევდათ გარკვეული საკითხების შესწავლა. რესპონდენტები განსაკუთრებულად უარყოფითად აფასებენ ისეთ საგნებს, როგორცაა სამოქალაქო განათლება და მენარმეობა, რასაც „დროის კარგვას“ უწოდებენ. მათი აზრით, ამ საგნების ნაცვლად, პროგრამაში მეტი დრო უნდა დაეთმოს პროგრამირების რელევანტულ ენებს, როგორცაა PHP, ან ფრილანსერობის სწავლებას.

რესპონდენტების უმრავლესობის თქმით, კოლეჯის მხრიდან კარიერული მხარდაჭერა თითქმის არ არსებობდა. მათ არ მიუღიათ დახმარება CV-ის შედგენაში, გასაუბრებისთვის მომზადებაში თუ კონკრეტულ კომპანიებთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში. მართალია რესპონდენტთა ნაწილს სასწავლებელმა მხარდაჭერა აღმოუჩინა CV-ის შედგენაში, თუმცა არა ისეთი ფორმითა და შინაარსით, რაც ტექნოლოგიურ ბაზარზეა მოთხოვნადი. რესპონდენტების აზრით, პროფესიულ პროგრამაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამული ენების საფუძვლიანად სწავლებასა და სიახლეების გაზიარებას. მათ მიაჩნიათ, რომ პროგრამირების ენების სწავლება უნდა დაიწყოს უფრო რთული მასალით (მაგალითად, back-end-ით), რომ პროფესიულმა სტუდენტებმა გაიგონ პროგრამირების ლოგიკა და არსი. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათი მოლოდინები პროგრამის

ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების მხრივ, საბოლოო ჯამში, არ გამართლდა.

ამდენად, თანამედროვე, მაღალანაზღაურებად IT სფეროში მუშაობის მოლოდინით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები ეჭახებიან მოძველებულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ბაზრისთვის საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას. ამ პრობლემას ამძაფრებს პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობაც, კერძოდ სტაჟირებისა და რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკის მიღების შესაძლებლობის არარსებობა ტოვებს კურსდამთავრებულებს თეორიული ცოდნით, რომელიც პრაქტიკული თვალსაზრისით გამოუსადეგარია.

დასაქმება


კვლევის ფარგლებში განისაზღვრება სამუშაო ძალის მაჩვენებლები სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, როგორებიცაა დასაქმების სტატუსი, როგორც სწავლის დაწყების მომენტისათვის, ასევე, მისი დასრულების შემდეგ, დასაქმებულთა პროცენტული განაწილება ეკონომიკის სექტორების, პოზიციების, ანაზღაურების, საჭირო უნარების/კომპეტენციების, შესაბამისი კვალიფიკაციის, საჭიროებებისა და პერსპექტივების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა 37.7 პროცენტი სწავლის დაწყების მომენტისათვის არ იყო დასაქმებული, დასაქმებულთა ნაწილი საქმიანობდა საკუთარი სპეციალობის შესაბამისად, ხოლო დანარჩენები სხვა მიმართულებით. კურსდამთავრებულთა 23.9 პროცენტი დასაქმებული იყო იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარა, ხოლო 8.2 პროცენტი თვითდასაქმებული. კურსდამთავრებულთა 29.7 პროცენტი დასაქმებული იყო სხვა მიმართულებით, ხოლო 6.8 პროცენტი თვითდასაქმებული. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დასრულების შემდეგ ამ მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესდა და დაუსაქმებელთა პროცენტული წილი 17.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 20.6 პროცენტი შეადგინა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწავლის დაწყებამდე დაუსაქმებელ სტუდენტთა 57.9 პროცენტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დასრულების შემდგომ დასაქმდა. ხოლო მხოლოდ სხვა მიმართულებით დასაქმებულთა 16.3 პროცენტი დასაქმდა საკუთარი მიმართულებით. აღნიშნული დადებითად აისახება როგორც კურსდამთავრებულებზე, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯზე. დასაქმების დონემ, რომელიც განისაზღვრება დასაქმებულთა რიცხოვნობისა და 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის შეფარდებით, 2023 წლის კურსდამთავრებულებში 79.4 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული სამუშაო ძალის გამოკვლევის

შედეგების საფუძველზე საქართველოში დასაქმების დონე 2023 წლისათვის 44.5 პროცენტს, ხოლო 2024 წლისათვის 47.1 პროცენტს შეადგენს. პროფესიული განათლების მექანე სტუდენტთა შრომის ბაზარზე ჩართულობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია პროფესიული განათლების სისტემის მიერ მოწოდებული პრაქტიკული და მოთხოვნებზე ორიენტირებული სწავლებით. აღნიშნული განათლება უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებისთვის ისეთი უნარებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომლებიც შეესაბამება შრომის ბაზრის საჭიროებებს, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს და ხელს უწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონე წლების მიხედვით.


დიაგრამა 7: დასაქმების დონე სწავლის დასრულების წლების მიხედვით



ზემოაღნიშნული დიაგრამის საფუძველზე კურსდამთავრებულთა დასაქმების დონე მეტ-ნაკლებად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა. მაქსიმალურ მნიშვნელობას მიაღწია 2022 წლის კურსდამთავრებულებში, რაც გარკვეულწილად შესაძლებელია აიხსნას კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების მოხსნით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა პროცენტული წილი მიმართულებების მიხედვით.

დიაგრამა 8: დასაქმებულთა პროცენტული წილი მიმართულებების მიხედვით



მდგომარეობა გაუმჯობესდა ყველა მიმართულებით გარდა „სხვა მიმართულებით“ თვითდასაქმებულებისათვის, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ პიროვნებებს უფრო მეტად მიეცათ საშუალება დასაქმებულიყვნენ საკუთარი პროფესიით. დასაქმებული იმ პროფესიით, რომელი პროგრამაც დაასრულა მდგომარეობა გაუმჯობესდა 12.3 პროცენტული პუნქტით, აღნიშნული მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, როგორც განათლების პოლიტიკის განმახორციელებლებისთვის, ასევე შრომის ბაზრისთვის. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უფრო მეტად ახერხებენ სტუდენტების მომზადებას და მათი უნარების დამსაქმებელთა მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. თვითდასაქმებული/ფრილანსერული სამუშაო იმ პროფესიით, რომელი პროგრამაც დაასრულა გაუმჯობესდა 1.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო სხვა მიმართულებით დასაქმებულთათვის მდგომარეობა 6.0 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა.

რაც შეეხება სხვა მიმართულებით თვითდასაქმებულებს, აღნიშნული შემცირდა 0.6 პროცენტული პუნქტით. ეს შემცირება, შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ კურსდამთავრებულები უფრო მეტად დასაქმდნენ თავიანთი პროფესიის შესაბამის სფეროებში, ამასთანავე, ტენდენცია შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ზოგიერთ სფეროში დამოუკიდებელი საქმიანობის შესაძლებლობები მცირდება ან ნაკლებად ხელმისაწვდომია.

მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა სწავლის დასრულების შემდეგ, 2023 წლის კურსდამთავრებულების პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაუარესდა 3.9 პროცენტული პუნქტით. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ მიუხედავად განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა, ბაზრის მოთხოვნები

და დასაქმების შესაძლებლობები არ იზრდება საკმარისად სწრაფად, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ეკონომიკური ფაქტორებით, პროფესიების მოთხოვნის ცვლილებებით ან დასაქმების სისტემის ხარვეზებით.

საკუთარი და სხვა მიმართულებით დასაქმებული, აგრეთვე, დაუსაქმებელი კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებისა და შემაფერხებელი გარემოებების შესწავლა-შეფასების მიზნით ჩატარებული თვისებრივი კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა ისაუბრეს პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარების მთავარი მოლოდინების შესახებ. როგორც გამოიკვეთა, საკუთარი მიმართულებით დასაქმებული კურსდამთავრებულების მიერ პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარების მთავარ მოტივაციად დასახელდა დასაქმება, ცოდნის მიღება, არსებული გამოცდილების დადასტურება სახელმწიფოს მიერ აღიარებული დოკუმენტით, კვალიფიკაციის ამაღლება და ახალი, მოთხოვნადი პროფესიის დაუფლება ან სფეროს შეცვლა. სხვა მიმართულებით დასაქმებული კურსდამთავრებულებისთვის პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია დაკავშირებული იყო დასაქმების სურვილთან და კონკრეტული სფეროს მიმართ ინტერესთან. აღინიშნა ისიც, რომ უფასო განათლების მიღება მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იყო რესპონდენტებისთვის. დაუსაქმებელი კურსდამთავრებულების შემთხვევაში კი პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია ძირითადად უკავშირდებოდა დასაქმების პერსპექტივების ზრდას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიით დაინტერესებას.

კვლევამ ცხადყო, რომ საკუთარი მიმართულებით დასაქმებული კურსდამთავრებულების უმეტესობა მარტივად და სწრაფად დასაქმდა, ზოგიერთი მათგანი მუშაობას სწავლის პარალელურად ან დასრულებიდან რამდენიმე თვეში შეუდგა. კურსდამთავრებულთა აზრით, დასაქმების პროცესში მთავარი ფაქტორებია: სასწავლებლისგან მიღებული დარგობრივი ცოდნა, პროფესიული სერტიფიკატი თუ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება, პროფესიული გამოცდილება, მონდომება და თვითდისციპლინა. ასევე, ხაზი გაესვა პიროვნულ თვისებებს, როგორცაა პროფესიის სიყვარული, შემოქმედებითობა, პასუხისმგებლობა და კომუნიკაციის უნარი. როგორც აღინიშნა, დასაქმების პროცესის გამარტივებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კოლეჯების რეკომენდაციებსა და განვლილ სტაჟირებებს.

სხვა მიმართულებით დასაქმებული რესპონდენტების თანახმად, სამუშაოს პოვნა რეგიონებში რთული აღმოჩნდა. დასაქმების პროცესს აფერხებდა პროფესიის შესაბამისი ვაკანსიების სიმცირე ან რიგ შემთხვევებში მათი არარსებობა, დაბალი ანაზღაურება, აგრეთვე, შტატების დატვირთულობა და მაღალი კონკურენცია. რესპონდენტების თქმით, ხშირად ახალი ვაკანსიის გამოცხადებაც არ ხდებოდა, რამდენადაც ვაკანტური ადგილების შევსებას

დამსაქმებლები შიდა კონკურსის ან დაწინაურების გზით უზრუნველყოფდნენ. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ამჟამინდელ პროფესიასთან შეუსაბამო სამუშაოს შესრულება უწევთ სხვა სფეროში უკეთესი ანაზღაურების გამო.

დაუსაქმებელი კურსდამთავრებულების შემთხვევაში კი, როგორც შედეგები გვიჩვენებს, დასაქმების პროცესის ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებად გამოიკვეთა შემდეგი:

- რეგიონებში შესაბამისი ვაკანსიების სიმცირე;
- ადგილმდებარეობის სირთულები და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის პრობლემა;
- დამსაქმებელთა მხრიდან მრავალწლიანი გამოცდილების მოთხოვნა (ხშირად 3–5 წელი);
- დაბალი ანაზღაურება;
- პირადი ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- პირადი ვალდებულებები.

განვლილი პროფესიული პროგრამა კურსდამთავრებულთათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დარგობრივი და საკვანძო კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით. პროგრამამ ხელი შეუწყო დარგობრივი ცოდნის გაღრმავებას და ისეთი მნიშვნელოვანი საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა ციფრული უნარები (მაგალითად, კომპიუტერთან მუშაობა), მეწარმეობა, კომუნიკაცია, დროის მართვა, გუნდური მუშაობა, უცხო ენა (მაგალითად, ინგლისური, გერმანული), ინდივიდუალური/პიროვნული განვითარებისა და ლიდერული უნარები.

როგორც საკუთარი და სხვა მიმართულებით დასაქმებული, ისე დაუსაქმებელი კურსდამთავრებულები ძირითადად დადებითად აფასებდნენ მასწავლებლების პროფესიულ დონეს. ისინი აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები იყვნენ მაღალკვალიფიციურნი და გამოირჩეოდნენ პასუხისმგებლობის გრძნობით. პროფესიული მასწავლებლები დეტალურად და გასაგებად ხსნიდნენ მასალას და მაქსიმალურად ცდილობდნენ სტუდენტებისთვის საჭირო ცოდნის გადაცემას. გარდა აღნიშნულისა, გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, პროგრამის პროფესიული მასწავლებლები საკმაოდ გამოცდილი პროფესიონალები იყვნენ თავიანთ სფეროში, მაგრამ ხშირად არა კარგი მასწავლებლები, ვინაიდან ვერ უზრუნველყოფდნენ საჭირო ცოდნისა და უნარების სათანადოდ გადაცემას მსმენელებისთვის.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, რესპონდენტების უმრავლესობა კმაყოფილია მათი ხარისხით, ეფექტურობითა და ხელმისაწვდომობით. თუმცა, ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ

რესურსები მოძველებული იყო, სახელმძღვანელოები კი გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებდა, რათა თანამედროვე მეთოდები და მიდგომები ასახულიყო პროგრამებში. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ პრაქტიკული დავალებებისთვის საჭირო მასალები არ იყო საკმარისი.

როგორც გამოიკვეთა, ზოგიერთ პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი კარგად იყო ინტეგრირებული, აღნიშნავდნენ, რომ ჰქონდათ პრაქტიკული სამუშაოები, სტაჟირებები, სანარმოო ვიზიტები და სიმულაციური დავალებები. ამის საპირისპიროდ, რესპონდენტთა ნაწილი უარყოფითად აფასებდა პრაქტიკულ კომპონენტს. კერძოდ, ზოგ შემთხვევაში განვლილ პროგრამას არ ჰქონდა ან ზედაპირულად ჰქონდა პრაქტიკული კომპონენტი და სტაჟირება, ხოლო თეორიული სწავლება ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, რადგან პრაქტიკის გარეშე თეორია რთულად აღქმადი აღმოჩნდა. ეს ყოველივე უშუალოდ დასაქმების უნარებზეც უარყოფითად აისახა.

ხაზგასასმელია ისიც, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას არ მიუღია შესაბამისი კარიერული მხარდაჭერა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისგან. მიღებული კარიერული მხარდაჭერის სახეებს შორის ძირითადად დასახელდა შემდეგი: ინდივიდუალური კონსულტაციები, გასაუბრებისთვის მომზადება, CV-ის მომზადება და სამუშაო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. მხარდაჭერის მიმღები რესპონდენტები კარიერულ სერვისებს ეფექტიანად აფასებენ. ისინი, ვინც ვერ მიიღეს მხარდაჭერა, მიზეზად ასახელებენ იმას, რომ დაწესებულებას ასეთი სერვისი არ ჰქონდა ან ფრაგმენტულად და არასისტემურად ახორციელებდა.

დასაქმებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, რესპონდენტებმა დაასახელეს ისეთი რეკომენდაციები, როგორებიცაა:


- დამსაქმებლებთან აქტიური პარტნიორობა და სასწავლო პროცესში კერძო სექტორის წარმომადგენლების ჩართვა;
- სტაჟირების უზრუნველყოფა და პრაქტიკული სწავლების მოცულობის გაზრდა რეალურ სამუშაო გარემოში;
- რეკომენდაციების სისტემა კურსდამთავრებულებისთვის და დასაქმების ნაწილში მათი მხარდაჭერის გაძლიერება;
- კარიერული სერვისების გაძლიერება;
- პროფესიული პროგრამების განვითარება თეორიული თუ მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით და პროფესიული პროგრამების შინაარსის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უკეთესი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

საბოლოო ჯამში, თითოეული მიმართულებით გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ მათი მოლოდინები

ძირითადად გამართლდა. საინტერესოა, რომ სხვა მიმართულებით დასაქმებული და დაუსაქმებელი კურსდამთავრებულების მნიშვნელოვანი ნაწილი იგივე პროგრამას კიდევ ერთხელ აირჩევდა, რადგან მიღებული ცოდნა და უნარები ღირებული და საჭირო იყო მათთვის. ამის საპირისპიროდ, ნაწილი აღარ აირჩევდა იმავე პროგრამას, რადგან ვერ მოახერხეს დასაქმება ან სხვა მიმართულება მოექცა მათი ინტერესის სფეროში. მაშასადამე, აშკარაა, რომ დასაქმების სირთულეების მიუხედავად მიღებული განათლება რესპონდენტთათვის პროფესიული განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა, ეს არ გამოირიცხავს პროფესიული პროგრამების გაუმჯობესების, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის, დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გაძლიერების აუცილებლობას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა პროცენტული წილი გენდერულ ჭრილში.

დიაგრამა 9: დასაქმებულთა პროცენტული წილი მიმართულებებისა და სქესის მიხედვით



ზემოაღნიშნული დიაგრამის საფუძველზე თვალსაჩინოა გენდერული უთანასწორობა ყველა მიმართულებით. შრომის ბაზარზე ქალთა ჩართულობის პრობლემა პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებშიც საკმაოდ აქტუალურია. დაუსაქმებელი ქალების პროცენტული წილი 7.2 პროცენტული პუნქტით აღემატება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება დასაქმებულთა პროცენტულ წილს, როგორც საკუთარი, ასევე სხვა მიმართულებით დასაქმებულების

შემთხვევაში კაცების მაჩვენებელი აღემატება ქალებისას. აღნიშნული მაჩვენებელი შესაძლებელია მიუთითებდეს ქალებისთვის არსებულ დამატებით დაბრკოლებებსა და გამოწვევებზე, რომელიც გამოიხატება, როგორც ქალთა ჩართულობით საოჯახო საქმიანობაში, ასევე შრომის ბაზარზე დამკვიდრებულ სტერეოტიპებში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დასაქმებულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება ეკონომიკური სექტორის მიხედვით.

ცხრილი 6: დასაქმებულთა პროცენტული განაწილება ეკონომიკური სექტორის მიხედვით

სექტორი	%
არქიტექტურა და მშენებლობა	10.1
ბიზნესი და ადმინისტრირება	12.6
განათლება	13.9
ელექტრობა (ელექტრონული მიმართულებები)	8.9
სილამაზის მომსახურებები	4.2
ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	5.2
მექანიკა (მექანიკური მიმართულებები)	4.0
სამთო საქმე	3.2
სასტუმრო, რესტორანი და კვების მომსახურებები	10.5
სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვის მიმართულ	6.9
სოციალური მეცნიერებები	1.0
ტურიზმი	1.8
ტექსტილის წარმოება	0.8
ტრანსპორტის მომსახურებები	5.4
ხელოვნება	3.9
ჯანდაცვა	7.5

ზემოაღნიშნული ცხრილის მიხედვით, დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი განათლების სექტორშია (13.9 %), ბიზნესისა და ადმინისტრირების (12.6 %),


ხოლო სასტუმრო, რესტორანი და კვების მომსახურებების მიმართულებით 10.5 პროცენტი.

სექტორების მიხედვით ქალთა და კაცთა უთანასწორობა კიდევ უფრო თვალსაჩინოა, გარკვეულ სექტორებში დასაქმებულთა უმრავლესობას კაცები წარმოადგენენ, მაგალითად, მექანიკური მიმართულებით დასაქმებულების 99.3 პროცენტს, ელექტროობის - 94.9 პროცენტს, არქიტექტურისა და მშენებლობის - 92.7 პროცენტს, სამთო საქმის - 91.2 პროცენტს, ხოლო ტრანსპორტის მომსახურების 91.1 პროცენტს კაცები წარმოადგენენ.

ამასთანავე, არსებობს სექტორები, სადაც ქალები მნიშვნელოვნად უფრო მეტად არიან დასაქმებულები, სილამაზის მომსახურებების სექტორში დასაქმებულების 94.0 პროცენტი ქალია, ასევე, ტექსტილის წარმოების 92.6 პროცენტს, ჭანდაცვის - 84.6 პროცენტს, განათლების - 77.8 პროცენტს, ხოლო სოციალური მეცნიერებების 62.2 პროცენტს ქალები წარმოადგენენ. აღნიშნული მონაცემები შესაძლოა დაკავშირებული იყოს სოციალურ და კულტურულ თავისებურებებთან, რაც გამოხატულია, როგორც უშუალოდ ქალთა არჩევანით, ასევე იმ სტერეოტიპებით, რომელიც უკავშირდება პროფესიების დაყოფას სქესობრივი კუთვნილების მიხედვით.


გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია მოცემულ სექტორებში საკუთარი პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საკუთარი პროფესიით დასაქმებულთა პროცენტული წილი სექტორების მიხედვით.

დიაგნოზა 10: საკუთარი პროფესიით დასაქმებულთა პროცენტული წილი სექტორების მიხედვით



საკუთარი პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია სოციალური მეცნიერებებისა და ტურიზმის მიმართულებით, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს პრაქტიკული უნარებისა და გამოცდილების დეფიციტით. ასევე, ამ მიმართულებით სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების დისბალანსით. გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია მოცემულ სექტორებში საშუალო შრომის ანაზღაურება.

დიაგნოზა 11: კუხსდამთავრებულთა საშუალო ანაზღაურება ეკონომიკური სექტორების მიხედვით



შრომის ანაზღაურება სექტორების მიხედვით ყველაზე მაღალია ტურიზმის სექტორში (1962.3 ლარი), სადაც პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ მაღალი ანაზღაურება მიმზიდველია სტუდენტებისათვის, თუმცა, ბაზარი კადრებით უკვე გაჯერებულია ან კურსდამთავრებულებს, რომლებიც ამ მიმართულებას ასრულებენ არ აქვთ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი პრაქტიკული უნარები და სხვა. ასევე, ანაზღაურება მაღალია არქიტექტურისა და მშენებლობის მიმართულებით (1951.8 ლარი), ხოლო ყველაზე მცირეა სილამაზის მომსახურებების (872.8 ლარი), ტექსტილის წარმოების (914.1 ლარი) სექტორში, რაც ძირითადად განპირობებულია იმით, რომ აღნიშნულ სექტორში ძირითადად თვითდასაქმებულები არიან, არ აქვთ სათანადო პროფესიული გამოცდილება და, შესაბამისად, სანყის ეტაპზე არ სარგებლობენ საზოგადოებაში აღიარებით. გარდა ამისა, ანაზღაურება დაბალია განათლების სექტორში, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქსტატის მონაცემების საფუძველზეც ამ მიმართულებით ყველაზე მცირეა, კიდევ უფრო დაბალია ანაზღაურება ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით. სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საფუძველზე 2023 წელს ინტერვალური მწკრივისათვის გაანგარიშებული საშუალო შრომის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადების გამოკლებით) შეადგენდა 434.8 ლარს, რაც გაცილებით უფრო ნაკლებია აღნიშნული კვლევის შედეგების მიხედვით განათლების სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე. ეს განპირობებულია იმით, რომ კურსდამთავრებულები უშუალოდ სკოლამდელი აღზრდის

კვალიფიკაციის შესაბამისი მიმართულებით არ იყვნენ დასაქმებულნი, მათი სამუშაო ადგილი შესაძლოა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სხვადასხვა პოზიცია. სექტორების მიხედვით პროფესიით დასაქმებასა და ანაზღაურებას შორის არ ვლინდება მნიშვნელოვანი კავშირები, რაც გამომწვეულია შრომის ბაზრის ფუნქციონირების კომპლექსურობით.

დასაქმებულთა სამუშაო პირობებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დაკავებული სამუშაო პოზიცია და შრომის ანაზღაურება. კვლევის შედეგების საფუძველზე, კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დაბალი და შუა რგოლის თანამშრომლები არიან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დასაქმებულთა პროცენტული განაწილება სამუშაო პოზიციების მიხედვით.


ცხრილი 7: დასაქმებულთა განაწილება სამუშაო პოზიციების მიხედვით, %

პოზიცია	%
დაბალი რგოლის თანამშრომელი (მაგ: სპეციალისტი)	33.8
შუა რგოლის თანამშრომელი (მაგ: სუპერვაიზორი)	34.9
ზედა რგოლის თანამშრომელი (მაგ: დირექტორი)	8.3
მიჭირს პასუხის გაცემა	22.9

ზემოაღნიშნული ცხრილის მიხედვით, კურსდამთავრებულთა განაწილება პოზიციების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია, გამოკითხულთა ყველაზე მცირე წილი ზედა რგოლის პოზიციებზეა დასაქმებული. არსებული დისბალანსი გენდერულ ქრილში კიდევ უფრო თვალსაჩინოა. როგორც ქალების, ასევე, კაცების უმრავლესობა დასაქმებულია დაბალ და შუა რგოლის პოზიციებზე. რაც შეეხება ზედა რგოლს, დასაქმებულ კაცთა 9.6 პროცენტი, ხოლო ქალთა 6.7 პროცენტი იკავებს მოცემულ პოზიციას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ღიაგხამა 12: დასაქმების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



დასაქმების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ზრდად დამოკიდებულია. შესაბამისად, ყველაზე მცირეა 19 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისათვის, რაც, ბუნებრივია და განპირობებულია ამ ასაკობრივი ჯგუფის სამუშაო ძალაში დაბალი მონაწილეობით. მაქსიმალური კი 41 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობისთვისაა და შესაბამისად, 90.0 პროცენტს შეადგენს. გარდა ამისა 25 წლამდე თანამშრომელთა ყველაზე დიდი ნაწილი დაბალი რგოლის თანამშრომელია, 25 წლიდან 36 წლამდე - შუა რგოლის თანამშრომლები, ხოლო 36 წლის და უფროსი ასაკის დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ყველაზე დიდი ნაწილი დაბალი რგოლის პოზიციაზეა.

კვლავ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს გარკვეული სტატუსის მქონე პირთა შრომის ბაზარზე სრულყოფილი ინტეგრაცია. ამ მხრივ, განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან თავშესაფრის მაძიებლები, რომელთა 50.0 პროცენტი, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა 48.1 პროცენტი არ არის დასაქმებული. ამ მხრივ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები, აღნიშნული მაჩვენებელი მათთვის შესაბამისად, 18.1 და 18.6 პროცენტს შეადგენს. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 23.4 პროცენტი, რომელთაც აქვთ მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი დასაქმებულნი არიან სხვა მიმართულებით, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების 38.4 პროცენტი დასაქმებულია იმ პროფესიით, რომელი პროგრამაც დაასრულა. აღნიშნული მაჩვენებელი 2.2 პროცენტული პუნქტით აღემატება ტიპური განვითარების მქონე პირების ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს

მათ მიერ უფრო მეტად მიზანმიმართული პროფესიის არჩევითა და დასაქმების მხარდამჭერი სერვისებით.

პროგრამების ეფექტურობის შეფასების მიზნით შეირჩა 15 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც ჰყავდა ყველაზე მეტი გამოკითხული კურსდამთავრებული. თითოეული პროგრამისთვის განისაზღვრა საკუთარი პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე მაღალი იყო კულინარიის ხელოვნების კურსდამთავრებულებისთვის (62.2 %), ხოლო ყველაზე მცირე ვებ-ტექნოლოგიებისა (13.2 %) და ინფორმაციის ტექნოლოგიების (17.0 %) მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზარზე ამ მიმართულების კადრებზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულები საკუთარი პროფესიით ნაკლებად არიან დასაქმებულნი. აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული იმავე მიმართულების პროგრამების არსებობით. მიუხედავად ამისა, აუცილებელია აღნიშნული პროგრამების სასწავლო გეგმის გადახედვა და არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა.

დასაქმებულთა სამუშაო პირობებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომის ანაზღაურება. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია შრომის ანაზღაურების პროცენტული განაწილება შემოსავლის ჯგუფების მიხედვით.

ცხიდი 8: დასაქმებულთა პიროვნული განაწილება შემოსავლის ჯგუფების მიხედვით, %

შემოსავლის ჯგუფები	%
100 ლარამდე	2.3
101-300 ლარი	2.8
301-500 ლარი	5.6
501- 700 ლარი	8.2
701-დან 900 ლარი	9.0
901-დან 1000 ლარი	10.1
1001-დან 1500 ლარი	19.1
1501-2000 ლარი	11.9
2001-2500 ლარი	6.5
2501-3000 ლარი	4.4
3001-დან 4000 ლარი	2.6
4001-დან 5000 ლარი	0.8
5001 ლარი და მეტი	1.1
უარი პასუხზე	15.3

ზემოაღნიშნული ცხრილის მიხედვით, ყველაზე მეტ კურსდამთავრებულს ჰქონდა ანაზღაურება 1,001 ლარიდან 1,500 ლარამდე. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს საშუალო შრომის ანაზღაურება, რომელიც ამ შემთხვევაში გაანგარიშდება საშუალო შენონილი არითმეტიკულის საფუძველზე შემდეგი ფორმულით:

$$\bar{x} = \frac{\sum xf}{\sum f}$$

საშუალო შენონილი არითმეტიკული განისაზღვრა ინტერვალური მწკრივისათვის და 1,362.6 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას ეკონომიკური სექტორების მიხედვით, საშუალოდ ყველაზე მაღალანაზღაურებადია ტურიზმი, არქიტექტურა და

მშენებლობა და მექანიკური მიმართულება, ხოლო დაბალანაზღაურებადი - სილამაზის მომსახურებები, ტექსტილის წარმოება და განათლება. დაბალი ანაზღაურების გამომწვევი მიზეზები სილამაზის მომსახურებებისა და ტექსტილის წარმოების შემთხვევაში შესაძლოა იყოს თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი და შესაბამისად, უფრო მეტად არასტაბილური ანაზღაურება, ხოლო განათლების შემთხვევაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული შედეგების საფუძველზე დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი განათლების მიმართულებით 2023 წელს ყველაზე მცირე იყო (საშუალო მაჩვენებელს 66.4 პროცენტით ჩამორჩებოდა).¹⁷ გარდა ამისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზეც, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები განათლების მიმართულებით ამზადებენ სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებს, რომელთა ანაზღაურებაც კიდევ უფრო მცირეა.

გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია შრომის ანაზღაურების გენდერულ ქრილში გაანგარიშება. როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისათვის ყველაზე გავრცელებული შრომის ანაზღაურებაა 1,001 ლარიდან 1,500 ლარამდეა. რაც შეეხება საშუალო შრომის ანაზღაურებას ქალებისათვის - 980.7 ლარს, ხოლო კაცებისათვის 1,660.1 ლარს შეადგენს. აღნიშნული ცხადყოფს საკმაოდ მაღალ დისბალანსს სქესის მიხედვით, კაცების შრომის ანაზღაურება 69.3 პროცენტით აღემატება ქალების შემთხვევაში გაანგარიშებულ ანალოგიურ მაჩვენებელს. მოცემული განპირობებულია როგორც ზემოთ აღინიშნა კაცების უფრო მაღალ პოზიციებზე და უფრო მაღალანაზღაურებად სფეროებში დასაქმებით. გარდა საშუალო მაჩვენებლისა, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მოდალური და მედიანური შრომის ანაზღაურება, რომელიც უფრო რეალურ წარმოდგენას შეგვიქმნის არსებული მდგომარეობის შესახებ.

ინტერვალური ვარიაციული მწკრივისათვის მოდა გაიანგარიშება შემდეგი მეთოდით:

$$\bar{x}_{mოდ} = x_{mოდ} + h_{mოდ} \frac{f_{mოდ} - f_{mოდ-1}}{(f_{mოდ} - f_{mოდ-1}) + (f_{mოდ} - f_{mოდ+1})}$$

როგორც უკვე აღინიშნა როგორც ქალების, ასევე, კაცების ყველაზე დიდმა ნაწილმა დააფიქსირა რომ მისი შემოსავალი 1,001 ლარიდან 1,500 ლარამდეა. აღნიშნული ინტერვალისათვის კაცებისათვის მოდალური შრომის ანაზღაურების მნიშვნელობა - 1,351.6 ლარს, ხოლო ქალებისათვის 1,163.6 ლარს შეადგენს, ხოლო დისბალანსი 16.2 პროცენტს წარმოადგენს.

¹⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>


რაც შეეხება მედიანურ მნიშვნელობას, აღნიშნული საუკეთესოდ ასახავს შრომის ანაზღაურების თანასწორ განაწილებას. მედიანა ინტერვალური ვარიაციული მწკრივისათვის გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\bar{x}_{მედ} = x_{მედ} + h_{მედ} \frac{\frac{\sum f}{2} - S_{მედ-1}}{f_{მედ}}$$

შრომის ანაზღაურების მედიანური მნიშვნელობა კაცებისათვის 1,422.4 ლარს, ხოლო ქალებისათვის 888.7 ლარს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობების საფუძველზეც დისბალანსი 60.1 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შრომის ანაზღაურების საშუალო მოდალური და მედიანური მნიშვნელობები გენდერულ ჭრილში.

დიაგრამა 13: შრომის ანაზღაურება გენდერულ ჭრილში




უთანასწორობა ყველაზე მაღალი დაფიქსირდა საშუალო შრომის ანაზღაურების დროს, რაც გამოწვეულია ძირითადად იმით, რომ კაცთა უფრო მეტმა ნაწილმა დააფიქსირა მაღალი შრომის ანაზღაურების ინტერვალები.

პროფესიული განათლების მქონე კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ უნარებსა და კომპეტენციებზე, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად. კურსდამთავრებულთა დასაქმების სხვადასხვა ასპექტის ანალიზის შემდეგ მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება კურსდამთავრებულთა მომზადება რეალურ სამუშაო პროცესებსა და მოთხოვნებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ამჟამინდელი სამუშაოს შესასრულებლად ქვემოთ წარმოდგენილი უნარების/კომპეტენციების ფლობის მნიშვნელოვნება.


დიაგრამა 14: სამუშაოს შესასრულებლად უნარების/კომპეტენციების ფლობის მნიშვნელოვნება



ზემოაღნიშნული დიაგრამის მიხედვით, ამჟამინდელი სამუშაოს შესასრულებლად პრობლემის გადაჭრის უნარი ძალიან მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა 86.8 პროცენტისათვის, 86.7 პროცენტისათვის - სხვა ადამიანებთან ერთად/გუნდური მუშაობის უნარი, ხოლო 81.6 პროცენტისათვის - პროფესიული უნარები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი სამუშაოს შესასრულებლად ძალიან მნიშვნელოვანი უნარების ფლობა ძლიერ დადებით კორელაციურ კავშირშია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში საფუძვლიანად განვითარებულ უნარებთან. რასაც ადასტურებს პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობამაც 0.94 შეადგინა. სამუშაოს შესასრულებლად უნარების/კომპეტენციების ფლობის მნიშვნელოვნების მსგავსად სწავლის პროცესშიც საფუძვლიანად განვითარებულ უნარებს შორის დომინირებს

გუნდურად მუშაობის უნარი (79.9 %), პროფესიული ცოდნა (79.2 %) და პროფესიული უნარები (78.6 %), ხოლო საერთოდ არ განუვითარებიათ კურსდამთავრებულთა 6.4 პროცენტს უცხო ენა, 4.1 პროცენტს - კომპიუტერული უნარები, ხოლო 4.0 პროცენტს მენარმეობის უნარი.

დიაგრამა 15: კვალიფიკაციისა და სამუშაოს შესაბამისობა




გამოკითხულთა 73.1%-მა აღნიშნა, რომ მათი ამჟამინდელი სამუშაო შეესაბამება კვალიფიკაციას, რაც აჩვენებს, რომ დიდი ნაწილი დასაქმებულია იმ კვალიფიკაციით, რომელიც სწავლისას შეიძინა. თუმცა, 16.3%-მა განაცხადა, რომ მათი სამუშაო მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციას, რაც შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ზოგიერთი კურსდამთავრებული გრძნობს პროფესიული განვითარების საჭიროებას, ხოლო 10.5%-მა აღნიშნა, რომ მათი სამუშაოს შესასრულებლად საკმარისია უფრო დაბალი კვალიფიკაცია, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ მათ ვერ მიაღწიეს იმ პოზიციას, რასაც სწავლის დასრულების შემდგომ მოელოდნენ.

შემდგომი გეგმები

კურსდამთავრებულების კარიერული ორიენტაციისა და სამომავლო გეგმების შესაფასებლად, კვლევა ითვალისწინებდა კარიერული განვითარების ასპექტების განსაზღვრასაც.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი კარიერულ განვითარებაში დაგეგმილი ცვლილებების ტიპის მიხედვით.

დიაგრამა 16: კუხსდამთავრებულთა პიროვნული წიდი დაგეგმიდი ცვლილებების ტიპის მიხედვით, %



ზემოაღნიშნული დიაგრამის მიხედვით გამოკითხულთა 17.4 პროცენტი არ აპირებს ცვლილებას, 28.4 პროცენტი გეგმავს მიმდინარე სამუშაო ადგილზე დაწინაურებას, 20.9 პროცენტი - სწავლის გაგრძელებას, 20.4 პროცენტი - საკუთარი ბიზნესის დაწყებას, 19.2 პროცენტი - სამსახურის დაწყებას, 15.3 პროცენტი - სამსახურის შეცვლას, ხოლო კურსდამთავრებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა 0.7 პროცენტი გეგმავს სამსახურის მიტოვებას.

კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების გარდა, უმნიშვნელოვანესია კურსდამთავრებულთა პროგრამის დასრულების შემდგომი საჭიროებების განსაზღვრა.

ცხიდი 9: კუხსდამთავრებულთა საჭიროებები


	დიახ, იგივე ან მომიჯნავე მიმართულებით	დიახ, სხვა მიმართულებით	არა
პროფესიული ტრენინგები/შემდგომი გადამზადების კურსები	33.2	18.1	48.7
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება	28.9	17.8	53.3
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	26.5	15.7	57.8

გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს არ ჰქონდა საჭიროება როგორც პროფესიული ტრენინგებისა და შემდგომი გადამზადების კურსების, ასევე, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის.

კურსდამთავრებულებს ყველაზე დიდი საჭიროება როგორც იგივე ან მომიჯნავე მიმართულებით, ასევე, სხვა მიმართულებით აქვთ პროფესიული ტრენინგებისა და შემდგომი გადამზადების კურსების.

გარდა ცალკეული ასპექტისა მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა პროფესიული პროგრამის ზოგადი შეფასება მათი მიზნების მისაღწევად.

დიაგრამა 17: პროფესიული პროგრამის შეფასება, %



კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობისათვის პროფესიული პროგრამა ძალიან სასარგებლო იყო, როგორც პიროვნული, ასევე, კარიერული და პროფესიული ზრდისა და მიზნების მიღწევისათვის. თუმცა, პროგრამის შემუშავების პროცესში კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებზე, ვინაიდან გამოკითხულთა 6.6 პროცენტმა დააფიქსირა, რომ მის მიერ გავლილი პროფესიული პროგრამა ამჟამინდელ სამსახურში სამუშაოს ეფექტიანად შესრულებისათვის საერთოდ არ იყო სასარგებლო.

საბოლოო ჯამში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლამ საკმაოდ დადებითი გავლენა იქონია კურსდამთავრებულთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე. გაუმჯობესდა მათი ინტეგრაცია შრომის ბაზარზე. თუმცა, სოციალური უთანასწორობის პრობლემები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვისაც საკმაოდ აქტუალურია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ამ მიმართულებით პრობლემების მინიმუმაცია, რაც უზრუნველყოფს არა მარტო კურსდამთავრებულთა კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის

გაუმჯობესებას, არამედ წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისათვის.

დასკვნა და რეკომენდაციები

2023 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პროფესიული განათლება დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც საშუალო, ასევე, უმაღლესი განათლების მქონე პირებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 62 საგანმანათლებლო დაწესებულებამ, ხოლო გამოპასუხების დონემ 54.6 პროცენტი შეადგინა.

კვლევის შედეგების მიხედვით:

- კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი თბილისში (32.2 %) და აჭარაში (19.4 %) იყო კონცენტრირებული.
- კურსდამთავრებულთა გენდერული განაწილება შედარებით დაბალანსებულია, კაცების პროცენტული წილი 51.7 % შეადგენს.
- წინარე განათლების მიღწეული დონის მიხედვით უმეტესობა საშუალო განათლების მქონეა (39.6 %), თუმცა, პროფესიული განათლება აქტუალურია უმაღლესი განათლების მქონე პირებისთვისაც (21.9 % ბაკალავრი, 6.6 % მაგისტრი).
- ყველაზე მეტი კურსდამთავრებული (86.0 %) პროფესიული სასწავლებლის არჩევის მთავარ მიზეზად საინტერესო სასწავლო პროგრამას ასახელებს.
- სასწავლო გარემოსა და სწავლების პროცესს უმრავლესობა ძალიან დადებითად აფასებს, განსაკუთრებით მასწავლებელთა კვალიფიკაციისა (88.5 %) და სწავლების ხარისხის (84.6 %) თვალსაზრისით.
- კურსდამთავრებულებს მიღებული უნარებიდან ყველაზე მეტად განუვითარდათ გუნდური მუშაობის უნარი (79.9 %), პროფესიული ცოდნა (79.2 %) და პროფესიული უნარები (78.6 %), ხოლო საერთოდ არ განუვითარებია კურსდამთავრებულთა 6.4 პროცენტს უცხო ენები, 4.1 პროცენტს კომპიუტერული უნარები, 4.0 პროცენტს მეწარმეობის უნარი.
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სწავლის დასრულების შემდეგ: დაუსაქმებელთა წილი 37.7 პროცენტიდან 20.6 პროცენტამდე შემცირდა.

- დასაქმების ძირითადი სექტორებია: განათლება (13.9 %), ბიზნესი და ადმინისტრირება (12.6 %) და სასტუმრო, რესტორანი და კვების მომსახურებები (10.5 %).
- კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია დაბალ და საშუალო რგოლის პოზიციაზე, ხოლო საშუალო ანაზღაურებამ 1,362.6 ლარი შეადგინა.
- დასაქმების დონე ზრდად დამოკიდებულებაშია ასაკის მატებასთან. ყველაზე დაბალია 19 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისათვის, ხოლო ყველაზე მაღალია 41 წლისა და უფროსი ასაკის კურსდამთავრებულებისათვის.
- კვლავ აღმოუფხვრელ პრობლემად რჩება სტატუსის მქონე პირების სამუშაო ძალაში ინტეგრაცია, განსაკუთრებით, თავშესაფრის მაძიებლებისა (50.0 %) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (48.1 %), რომელთა თითქმის ნახევარი დაუსაქმებელია.
- შრომის ბაზარზე კვლავ გამოიკვეთა გენდერული უთანასწორობა, რაც განსაკუთრებით გამოხატულია ისეთ დარგებში, როგორცაა მექანიკა, არქიტექტურა და მშენებლობა, ელექტროობა, სამთო საქმე და ტრანსპორტი, სადაც დასაქმებულთა უმრავლესობას კაცები წარმოადგენენ.
- გენდერული უთანასწორობა, ასევე, ვლინდება შრომის ანაზღაურებასა და დაკავებულ პოზიციებში, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია არსებული გენდერული სტერეოტიპებით.
- ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვერ პასუხობს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს, რაც კურსდამთავრებულთა კმაყოფილების დაბალი მაჩვენებლისა და დასაქმების პროცესში შექმნილი მნიშვნელოვანი სირთულეების მთავარი მიზეზია.

კურსდამთავრებულთა კვლევაში გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრისა და მინიმზაციისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- **პროფესიული განათლების პოპულარიზაცია:** საჭირო ხდება დამატებითი ინფორმაციის მიწოდება პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ, რათა გაიზარდოს დაინტერესება და ჩართულობა.
- **უცხო ენების, მენარმეობისა და კომპიუტერული უნარების გაძლიერება:** აუცილებელია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ უნარების განვითარებაზე მეტი ყურადღების

გამახვილება, რადგან ისინი თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნადია.

- **დასაქმების მხარდაჭერა:** სასურველია სტუდენტებისათვის პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობების გაფართოება, რაც მოიცავს სტაჟირებებსა და დამსაქმებლებთან აქტიურ თანამშრომლობას.
- **მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული პროგრამების განვითარება:** მნიშვნელოვანია სწავლის პროცესის მეტი ადაპტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც გულისხმობს ახალი, ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დამატებას.
- **არაფორმალური განათლებისა და მისი მნიშვნელოვნების** შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის/სერვისების ზრდა, რაც განაპირობებს მათ როგორც პროფესიულ, ასევე, პიროვნულ განვითარებასა და შრომის ბაზარზე სწრაფ ინტეგრაციას.
- **კარიერული კონსულტირების გაძლიერება პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემაში:** აღნიშნული განაპირობებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების საკუთარი პროფესიული მიმართულების უკეთესად განსაზღვრასა და შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას.
- **შრომის ბაზარზე ქალთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა** განაპირობებს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, რაც ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძველია.
- **იმ პროგრამების გადახედვა, რომელთა კურსდამთავრებულების დასაქმების დონე სხვებთან შედარებით დაბალია** ასევე, შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
- **სოციალური უთანასწორობის გამო არსებული სასწავლო დანაკარგების აღმოფხვრა და დამწევი მექანიზმების შემუშავება** რაც უზრუნველყოფს არა მარტო კურსდამთავრებულთა კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისათვის.
- **ქალთა პროფესიულ განათლებაში ჩართულობის მიდგომების დანერგვა,** რაც მიზნად ისახავს გენდერული ბალანსის გაუმჯობესებას, ქალებისთვის კარიერული შესაძლებლობების გაზრდასა და შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.